# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 24 ივნისი. 2016 წ. №116 (8008), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## არ გათეთრდების ნიკაი, რაც უნდა ხეხო მიშითა!..

სააპელაციო სასამართლოს პასუხი „ცრუსთავი-2“-ის პროვოკატორ დირექტორს



②

## რატომ გააქრეს ჩათლახთ შოუს დასკვნითი ნაწილი?

## არც ერთი გამომცემელი წინააღმდეგი არ არის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებისა!

ღია წერილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრს
გიორგი კვირიკაშვილს
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას

გაბრაზებულ გულზე ისიც კი გვიფიქრია, ყველას თვალწინ ხომ არ დაგვეწვა ბატონი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას შეწირული ჩვენი საამაყო ავტორების ოცწლიანი ინტელექტუალური შრომის შედეგი.

③

ფარმაცევტული ბაზარი

## ინებეთ წამლები ფასდაკლებითო! - ისემც ცხვირი დაგიმშვენდეთ!



④

## კიდევ ერთი სიცრუე!

მატარებელი არც ერთ გვირაბში არ ეტევა!

④



## სოციალური დახმარების პაკეტი 20 ლარით იზრდება!

**პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს სოციალური დახმარების პაკეტის ოდენობა გაეზრდებათ. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.**

როგორც მან აღნიშნა, სოციალური პაკეტის ოდენობა ახლა 160 ლარია, ხოლო 1 ივლისიდან 180 ლარი გახდება.

დადგენილება, რომლის მიხედვითაც სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზრდება, მთავრობის სხდომას მომავალ კვირაში წარედგინება.

## კანჯი-ოღლი აფხაზეთშია და დაკავებული არ არის



⑪

## მედიცინა, როგორც აფხაზეთთან და ოსებთან შერიგების საშუალება



⑦

თბილისის ღუდუშაურის სახელობის კლინიკას ძირითადად მიმართავენ პაციენტები, რომლებმაც მოიარეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქები, იყვნენ მანამდე აფხაზეთის კლინიკებშიც

## თავდაცვის სამინისტროში არანაირი სპეცუბანი არ იქნება



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, თავდაცვის უწყებაში არც ერთი სპეცუბანი არ იქნება და გამონაკლისი მხოლოდ ავლანეთია. **„როდესაც თავდაცვის მინისტრად დავინიშნე, ჩემი ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო ის, რომ სპეცუბნები აღარ იქნებოდა თავდაცვის ობიექტებში. თავდაცვის სამინისტროში არანაირი სპეცუბანი არ იქნება. ერთადერთი გამონაკლისი არის ავლანეთი. ვფიქრობ, აქ კითხვის ნიშნები არ არის და მიზეზიც გასაგებია. მაგალითად, საავადმყოფოში მყოფ პირებთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, გადასატანი ყუთის პრინციპი იქნება. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, რომელიც არჩევნებამდე უნდა შესრულებულიყო და ჩვენ ამის შესრულება შევძელით“,** — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

# არ გათეთრდების ნიკაი, რაც უნდა ხეხო მიშითა!..

## სააპელაციო სასამართლოს პასუხი „ცრუსთავი-2“-ის პროვოკატორ დირექტორს

სააპელაციო სასამართლო, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. სადაც „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებულ ბრალდებებს ეხმაურება. **„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ვალდებულია, მოამზადოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებისთვის გადასაცემად. აღნიშნული ვალდებულება სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ შეასრულა 12 დღის ვადაში, რითაც სრულად დაიცვა კანონის მითითებული მოთხოვნა.**

**2591-ე მუხლი, რომელსაც მხარე მიუთითებს, წარმოადგენს სპეციალურ მუხლს, სადაც განსაზღვრულია მხარის მხოლოდ ვალდებულება, გამოცხადდეს სასამართლოში არაუადრეს 21 და არაუგვიანეს 30 დღისა გადაწყვეტილების ჩასაბარებლად და თუ იგი თავს აარიდებს ამ მოვალეობას, გადაწყვეტილება ჩაითვლება ჩაბარებულად და დაიწყება ვადის ათვლა 30 დღიდან. 2591-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, თუ რა კატეგორიის მხარეებთან მიმართებაშია ვალდებული სასამართლო, გაუგზავნოს სასამართლო გადაწყვეტილება, რაც არანაირად არ გამორიცხავს სასამართლოს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ გაუგზავნოს ნებისმიერ სხვა მხარეს, მით უფრო თუ იგი 21 დღეზე ადრე იქნა მომზადებული. ამასთან, კანონში არ არსებობს ამკრძალავი ნორმა, რომელიც მოსამართლეს უზღუდავს უფლებას, გაუგზავნოს კორესპონდენციები მხარეებს მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილება.**

**განსაკუთრებით გვინდა, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა კანონით განსაზღვრულია 21 დღით და მისი დინება იწყება გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემიდან ან იმ მომენტიდან, როდესაც მოსამართლე გამოაცხადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და ამას ესწრება მხარე. ორივე შემთხვევაში ფუნდამენტური ღირებულებაა, მხარეს ჰქონდეს 21 დღე მას შემდეგ, როდესაც დასაბუთებულ გადაწყვეტილებას გაეცნობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დარღვეულა. შესაბამისად, აბსურდულია იმის მტკიცება, რომ მხარეებს გასაჩივრების ვადის დინება ეწყებათ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს, მაშინ როდესაც დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მათ აქვთ 21 დღე, რაც შეიძლება მოსამართლის დისკრეციით განხორციელდეს საქმის განხილვის დასრულებიდან ნებისმიერ გონივრულ დროს და აქედან დაიწყოს ვადის ათვლა.**

**რაც შეეხება 70-78 მუხლებით დადგენილ წესს, გვინდა, საზოგადოებას ვაუწყოთ, რომ ტელეკომპანია „საქართველო“ არ იმყოფებოდა საქმეში მითითებულ მისამართზე; მისმა ყველა წარმომადგენელმა (პირადად ან ოფისის წარმომადგენლების მიერ) უარი განაცხადა სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარებაზე, რაც 75-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 76-ე მუხლების შესაბამისად ითვლება არასაპატიოდ და წარმოადგენს უარის თქმას.**

**ასევე აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების ეფექტურობას და ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საკუთარ ვალდებულებებს ასრულებს კანონით განსაზღვრულ ვადებში და არ აჭიანურებს პროცესს, ფასდება ყოველთვის სასამართლოს პოზიტივად და სრულიად უსაფუძვლოა იმის მცდელობა, რომ აღნიშნული შეფასდეს, როგორც სასამართლოს გაუმართლებელი ქმედება.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით და ყოველგვარი საუბარი, რომ სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის ქმედება გასულია კანონის ჩარჩოებიდან, არ შეესაბამება სინამდვილეს და მიზნად ისახავს სასამართლოს დისკრედიტაციასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას“,** — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

◉ წკეპლიკა

# რატომ გააქრეს ჩათლახთ შოუს დასკვნითი ნაწილი?

**„ჩათლახი“ (თურქ. „ჩათლაქ“) ერთი მნიშვნელობით უვარგისსა და უხეიროს ნიშნავს, მეორე გაგებით კი სალანძღავი სიტყვაა. არადა, ერთიცა და მეორეც ისე მიესადაგება და უხდება ამ წკეპლიკის ადრესატებს, მეტი რომ არ იქნება.**

ლაპარაკია ორ მამალ ნაციონალზე — „ცრუსთავი-2“-ის გენდირექტორ გვარამიასა და ტელეწამყვან გაბუნიაზე, რომელთაც „იქს ფაქტორის“ ბოლო, 20 ივნისის გადაცემის მიწურულს პირდაპირ ეთერში ისეთი რაღაცები უკადრიათ და უკადრებიათ ერთმანეთისთვის, ისე რეალურად უჩვენებიათ მანამდე ვითომ წესიერების ნიღაბაფარებული (თუმცა, მათს რეალურ სახეს ყველა ცნობს) სიფათები ტელემაყურებლებისთვის, რომ კაცს, უკაცრაული პასუხია და, გული აერეოდა.




ადრეც დავწერე და ახლაც ვიმეორებ: **„ცრუსთავი-2“-ს ვერ კი არა, საგანგებოდ არ ვუყურებ. ანკი, როგორი საყურებელია სიტყვით იმ ვითომდა ობიექტური და სიმართლე-სამართლიანობის ურყევად მხარდამჭერი ტელევიზიის ყურება, რომლის გენდირექტორიც პირდაპირ ეთერში დაგვემუქრა — ჯოჯოხეთს მოგიწყობთო?!**

დაგვემუქრა და ასრულებს კიდეც — იმდენი ღვარძლი, სიცრუე, ცილისწამება იღვრება მისი ეკრანიდან, თუ არ მოერიდე, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, შეიძლება ცუდადაც გახდე.

ამიტომაც არ მინახავს, როგორც ახლა უყვართ თქმა, „ლაივში“ ზემოთ ნახსენები ორი „ჯიხვის“ რქათა ჯახანის ამსახველი კადრები. მაგრამ როდესაც ჩვენი გაზეთის 21 ივნისის ნომერში წავიკითხე ამ ამაზრზენ კადრებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალა **„ჩათლახსა შიგან რაცა დგას“**... გადავწყვიტე, მენახა ეს კადრები. გადავახვიე „იქს ფაქტორის“ ხსენებული გადაცემა, მაგრამ, რას ეძებ, რა დაგიკარგავს — **მისი ფინალური ნაწილი, რომელშიც იყო ეს ჯახი, აღარ არსებობს — წაუშლიათ!**

**რატომ ქენით ეს, „ცრუსთავორელო“ ყველაფრის გამყალბებლებო? რაც არ მოგეწონათ, უფრო სწორად, რაც თქვენს რეალურ სახეს წარმოაჩენს, წაშალეთ?**

**მაშ, ჩვენ რად გვაიძულებთ, მუდამდღე ათასგვარი სისაძაგლის, სიცრუენაყალბევის ნაზავის ყურებას და რად გვიშლით ნერვებს? სანერვიულო გვაკლია?**

და კიდევ ერთი: ზოგჯერ სიამოვნებით ვუყურებდი ხოლმე „იქს ფაქტორს“, რადგან მასში მართლაც ნიჭიერი შემსრულებლები მონაწილეობენ, **მაგრამ მას მერე, რაც ყოველივე ქართულის და არანაცურის მოძულე გაბუნიამ სახალხოდ უსაყვედურა ერთ-ერთ მონაწილეს** (სამწუხაროდ, იმისი გვარი არ მახსოვს, მაგრამ გამოსვლამდე ნაჩვენები ვიდეოთი ვიცი, რომ იგი ჯარისკაცია), — **რა, სულ ქართულ სიმღერებს მღერი, ასე აპირებ კონკურსში გამარჯვებას? თუ შეგიძლია, ინგლისურად გვიმღერეო** (ეს იმდენად უხამსად და მიუღებელი ტონით თქვა, თვით ჟიურის წევრებიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, გაბუნიას ტონიც დაუწუნეს, პოზიციაც და კონკურსანტი დაიცვეს!), **მას მერე უკვე არც „იქს ფაქტორისთვის“ მიყურებია!**

**რა უნდა გაბუნიას მსგავს „ქართველს“ ქართულ ტელევიზიაში (მაგრამ საკითხავია, შეიძლება კი იყოს ნაცების ტელევიზია ქართული და ყოველივე ქართულის დამცველი?)?**

ბოლოს ერთი საკითხიც: კონკურსანტთა განმსჯელებს ყველგან ჟიურის წევრებად მოვიხსენიებ და არა მენტორებად, როგორებადაც მიიჩნევენ თავიანთ თავს (ეს ყოველ მათგანს, უწინარესად მანდილოსნებს, არ ეხებათ!).

სპეციალურად ვიქცევი ასე — **მენტორი დამრიგებელს ნიშნავს** (იგი ჰომეროსის „ოდისეას“ მთავარი გმირის (ოდისევის) შვილის ტელემაქეს გამზრდელის სახელიდან არის ნაწარმოები.

**ამათ დამრიგებლობა-აღმზრდელობას რა ვუთხარი! თავად არიან აღსაზრდელები, თანაც სახრით.**

**თუმცა, ბოდიშს ვიხდი და, როგორც იტყვიან, ამათ და მათნაირთა აღზრდა-გადაკეთებას (რაც ფუჭი შრომა იქნება) ახლის გაკეთება სჯობს!**

**ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტელეეკრანიდან მათი გაქრობა მაინც: ამგვარი „ქართველები“ ქართულ ეთერს არ უნდა აბინძურებდნენ!**

**რუსლან რუსია**

# ოპოზიციისთვის წინასაარჩევნო კამპანია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი საჯარო მოხელეებს მოუწოდებს, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი წინასაარჩევნო პერიოდის სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში მიმდინარეობას — ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.**



**„რამდენიმე დღის წინ მე უკვე გავაკეთე განცხადება იმის თაობაზე, რომ მაქსიმალურად უნდა მოხდეს თავიდან აცილება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების და ჩვენი მოწოდებაა, რომ რაც შეიძლება მშვიდობიან გარემოში, ღირსეულად ჩავატაროთ ეს არჩევნები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მთელი ამ პროცესის გამჭვირვალობა, ამიტომ მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა მთელი წინასაარჩევნო კამპანია, განსაკუთრებით ხაზს გავუსვამ, რომ ოპოზიციისთვის წინასაარჩევნო კამპანია უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი. რა თქმა უნდა, მმართველი ძალის წინასაარჩევნო კამპანიასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს,“ — აღნიშნა პრემიერმა.**

# არჩევნების გამო გამგეობის წევრები თანამდებობებს ტოვებენ

**თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის 13-მა თანამშრომელმა სამსახური დატოვა. ისინი ვეტერანთა დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის ირაკლი შიხიაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ერთვებიან და თანამდებობებიდან წასვლის მიზეზად ამ ფაქტს ასახელებენ, რათა მათი განცხადებით,გამგეობაში დარჩენა არ იყოს აღქმული, როგორც სახელისუფლებო რესურსის გამოყენება. არსებული ინფორმაციით, ირაკლი შიხიაშვილი საპარლამენტო არჩევნებზე სამგორის რაიონში დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება.**

# მჭიდრო თანამშრომლობა არგენტინასთან

**თეა წულუკიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში არგენტინაში, ბუენოს აირესში, არგენტინელ კოლეგა ხერმან გარავანოს შეხვდა.**

**არგენტინელმა მინისტრმა ქართველი კოლეგა სამინისტროში მიიღო და განაცხადა, რომ იუსტიციის სფეროში საქართველოს პროგრესით პოზიტიურად გაოცებულია და ამ გამოცდილების გაზიარება სურს. „არგენტინას ახალი მთავრობა ჰყავს და იუსტიციის სამინისტროც მთავრობასთან ერთად ცდილობს, ახალი, პროგრესული პროცესის დაწყებას ყველა მიმართულებით. სამართლებრივი რეფორმები, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროში თქვენ მიერ გატარებული რეფორმები, ასევე, სერვისების მიწოდება იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით ძალიან შთამბეჭდავია ჩვენთვის. მოგიწვიეთ, რათა თანამშრომლობის ფორმატზე შევთანხმდეთ და საქართველოს, როგორც იუსტიციის სფეროში წარმატებული მოდელის, გამოცდილება გავიზიაროთ“, — აღნიშნა ხერმან გარავანომ.**

**თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოსა და არგენტინის იუსტიციის მინისტრებს არასდროს ჰქონიათ ორმხრივი შეხვედრა და გამოთქვა იმედი, რომ ის სამაგალითო პარტნიორობა, რაც ორ ქვეყანას შორისაა, იუსტიციის სფეროშიც აისახება. „მთავრობის და ქართველი ხალხის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო არგენტინის მთავრობას იმისათვის, რომ ყველა ფორუმზე მხარს უჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს 20 პროცენტი ისევ ოკუპირებულია, თუმცა, ჩვენ ამ პირობებშიც ვცდილობთ მშვიდობის შენარჩუნებასა და განვითარებას. ვქმნით კანონებს ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებისთვის და ცხადია, ვაშენებთ ინფრასტრუქტურას, ეს კი ერთიანობაში ქვეყნის წინსვლის გარანტიაა“...**



SOS!



# არც ერთი გამომცემელი წინააღმდეგი არ არის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებისა!



## ღია წერილი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს
### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას

ქართველ გამომცემელთა საწყობებში დევს ერთ მილიონ ეგზემპლარზე მეტი მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელო. აქედან I-VI კლასების ქართული სკოლის სახელმძღვანელოებს ორიოდე თვეში გასდის გრიფირების ვადა, რაც იმას ნიშნავს რომ ეს წიგნები მაკულატურად იქცევა.

ნაცვლად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისყიდოს ჩვენთან არსებული სახელმძღვანელოები, სამინისტრო გამომცემლობებთან ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე, კიდევ ერთხელ (უფრო სწორად, უკვე მეოთხედ) აპირებს დაბეჭდოს ზუსტად იგივე წიგნები. არამიზნობრივად და უყაირათოდ იხარჯება ბიუჯეტის თანხები. ყოველივე ეს მიმდინარეობს გამომცემელთა და ავტორთა ინტელექტუალური და კერძო საკუთრების უხეში ხელყოფის ფონზე (არსებობს სახელმწიფო აუდიტის პროფესიული დასკვნაც).

ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ხელოვნურად შეიქმნა ბეჭდვის მონოპოლია: სამი წელია, განათლების სამინისტროს ხელშეწყობით სახელმძღვანელოებს ბეჭდავენ ერთი და იგივე სტამბები (აქედან ორი წელი ყოველგვარი ტენდერის გარეშე, ბოლო წელს კი მხოლოდ ფორმალური ტენდერი ჩატარდა).

15 ქართველი გამომცემელი და 200-ზე მეტი ავტორი, ასობით რედაქტორი, მხატვარი, დიზაინერი, მესტამბე, დისტრიბუტორი, უკვე მეოთხე წელია, თამაშგარედ დარჩა (განსხვავებით საქართველოში არსებული უცხოური გამომცემლობისაგან), რაც უარყოფითად აისახა საგანმანათლებლო და საგამომცემლო სფეროზე: ქართული წიგნის გამოცემა მნიშვნელოვნად შეფერხდა, წიგნის მაღაზიების დიდი ნაწილი დაიხურა. გაკოტრების პირასაა სტამბებისა და გამომცემლობების მნიშვნელოვანი ნაწილიც.

გაბრაზებულ გულზე ისიც კი გვიფიქრია, ყველას თვალწინ ხომ არ დაგვეწვა ბატონი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას შეწირული ჩვენი საამაყო ავტორების ოცწლიანი ინტელექტუალური შრომის შედეგი.

ხაზგასმით აღვნიშნავთ: არც ერთი გამომცემელი წინააღმდეგი არ არის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებისა!

იმედი გვაქვს, ყურადღებას მიაქცევთ ამ პრობლემას და პირადად იზრუნებთ მისი ოპერატიული მოგვარებისთვის.

პატივისცემით
ქართველ გამომცემელთა სახელით

**გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი**
**კახაბერ კუდავა;**

**გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი**
**თამარ ლებანიძე;**

**გამომცემლობა „არტანუჯის“ მთავარი რედაქტორი**
**ზვიად კვარაცხელია;**

**გამომცემლობა „სიესტას“ დამფუძნებელი**
**ქეთევან კილურაძე.**

კარგი ბინა, ცუდი ეკოლოგია!

# თბილისი სამშენებლო ჩიხიდან ვერ გამოდის

**თბილისი იმდენად გადაიტვირთა ზემაღალი შენობებით, რომ თავად მშენებლებიც კი შეაწუხა. ისინი შექმნილი ვითრებიდან გამოსავლის ძიებაში არიან, არადა, დედაქალაქში აგრესიული მშენებლობა, დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად, სწორედ მათი დამსახურებაა. ახლა დეველოპერები მკაცრი შეზღუდვების მომხრედ გვევლინებიან.**

მაგალითად, უძრავი ქონების კომპანია „რედიქსის“ დამფუძნებელი **ლაშა პაპაშვილი** ამბობს, რომ დღეს რეგიონებში ახალი პროექტები არ ვითარდება, თბილისში კი მშენებლობის ბუმია. პაპაშვილის თქმით, ზოგადად უძრავი ქონება გრძელვადიანი ინვესტიციაა და მოითხოვს გრძელვადიან ფულს, ამიტომ კომპანიები ვერ რისკავენ ისესხონ ძვირი ფული და რეგიონებში ჩადონ. ბიზნესმენის თქმით, შესაბამისად ნაკლები აქტივობაა რეგიონებში. პაპაშვილის აზრით, მართალია ბევრს არ მოეწონება, მაგრამ ერთ-ერთი გამოსავალი თბილისში ახალი მშენებლობების აკრძალვაა.

**— ძალიან უნდა მოუჭირონ თბილისს და ავტომატურად გადანაწილდება რეგიონებში, პირდაპირ არ ვგულისხმობ, რომ იძულება უზრუნველყოფს მშენებლობებს, მაგრამ უფრო მეტი ინტერესი გამოჩნდება,** — აცხადებს პაპაშვილი და თბილისში საცხოვრებელი კორპუსების განვითარების ტენდენციაზეც საუბრობს. მისი თქმით, კომპანიებს მიაჩნიათ, რომ მარტივია საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა და ამიტომ ყველა საცხოვრებელ ფართებს აშენებს. დღეს თბილისში დაუგეგმავი და არასწორი განაშენიანება ხდება და აუცილებელია განვითარების ტემპების და მიმართულების კონტროლი.

„მენაშენეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი **ირაკლი როსტომაშვილი** კი რეგიონების მხრივ პერსპექტივას ნაკლებად ხედავს.

**— რეგიონში უძრავი ქონების ბაზარს მყიდველი არ ჰყავს. მშენებლობა მოსახლეობის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ყველა სამშენებლო კომპანიის ნატვრაა, ბევრი მდიდარი ადამიანი ცხოვრობდეს ქვეყანაში, მაგრამ რეალობა, სამწუხაროდ, სხვაა,** — აღნიშნავს როსტომაშვილი.

ჯერჯერობით ახლო მომავლის პერსპექტივა ისაა, რომ დედაქალაქის ცენტრში „კა-2“ კოეფიციენტის შეზღუდვის გამო სამშენებლო კომპანიების უმეტესობას არჩევანის გაკეთება გარეუბნების სასარგებლოდ მოუწევს. ეს იქნება წინაპირობა, რომ გარეუბანი უფრო მეტად განვითარდეს და იქ ცხოვრება პრესტიჟული გახდეს. შეიძლება, მოთხოვნა მეტროს მიმდებარე ტერიტორიებზეც გაჩნდეს. ამასთან, აითვისონ ყველა ის უბანი, სადაც კომუნისტურ პერიოდში მიტოვებული წარმოებებია. როსტომაშვილი ვარაუდობს, რომ ამ ტერიტორიებზე მშენებლობის ბუმი გაჩნდება.

**— მასობრივი მშენებლობების ფონზე გარეუბნებიც უფრო მოწესრიგდება და პრესტიჟიც აიწევს. ვაკე-საბურთალოს შემდეგ, საინტერესო და კარგად განვითარებადი მეჩვენება ვარკეთილი-ვაზისუბნისა და გლდანი-ნაძალადევის მიმართულება. ასეთი შეიძლება იყოს საბურთალოს ზედა ნაწილიც, ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია და სხვა. ყველა ის ადგილი, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი კარგად არის განვითარებული. არ გამოვრიცხავ — მეტროებთან მდებარე საცხოვრებელ კორპუსებზე მეტი მოთხოვნა გაჩნდეს, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია,** — აცხადებს როსტომაშვილი.

უძრავი ქონების ექსპერტი **შოთა გუჯაბიძეც** ადასტურებს, რომ მაღლივი კორპუსების მშენებლობამ შეიძლება პერიფერიებისკენ გადაინაცვლოს, მაგრამ ზომიერების დაცვა იქაც საჭიროა.



**— საერთოდ, „კა-1“ კოეფიციენტით განისაზღვრება შენობის ფუძის მოცულობა, მისი სიდიდე, ხოლო „კა-2“ კოეფიციენტი განსაზღვრავს შენობის საერთო მოცულობას. შესაბამისად, თუ მშენებელს კოეფიციენტის მომატების უფლება ექნება, ის სართულებს დაამატებს და უფრო მაღალ შენობას ააგებს.**

**ქალაქის ცენტრში „კა-2“ კოეფიციენტის შეზღუდვა, ძირითადად, კორპუსების სიმაღლეზე აისახება. ამ რეგულაციით მივიღებთ იმას, რომ ქალაქის ცენტრი მაღალი შენობებით არ გადაიტვირთება და მისი იერსახე შენარჩუნდება. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ დედაქალაქის არქიტექტურულ მთლიანობაზე, მაღალი კორპუსების სიმრავლე იწვევს ეკოლოგიურ პრობლემებს, იჩრდილება ხედები, ბოლოს და ბოლოს, აღარ გვექნება სიტუაცია, როდესაც ერთი მეზობლის სარეცხი მეორის აივანს ფარავს,** — აცხადებს გუჯაბიძე.

მისი აზრით, დაუშვებელია ისტორიული ქალაქის ცენტრალურ უბნებში მაღალსართულიანი შენობები შენდებოდეს იმ ინტენსივობით, როგორც თბილისში შენდება.

**ბექა დანელია**

# მაღალმთიან დასახლებათა ნუსხა იზრდება

**საქართველოში მაღალმთიან დასახლებათა ნუსხას შესაძლოა, 99 დასახლება დაემატოს,** — ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან 38 ათას ადამიანს დამატებით შეეხება ის სოციალური შეღავათები, რომლებიც არის გათვალისწინებული კანონით.. დღემდე ამ დასახლებების არდაფარვა იყო იმ მიზეზით გამოწვეული, რომ არ არსებობდა ზუსტი ნუსხა და სისტემატიზებული მონაცემები. ჩვენ ეს სისტემა დავხვეწეთ. შემოვდივართ წინადადებით, რომ 38 ათასი ადამიანი, ანუ 99 დასახლება დაემატოს ნუსხას“,** — აღნიშნა პრემიერმა.

# „ოდესელების“ ახალი პროვოკაციები

**„ოდესელების პროვოკაციად“ აფასებს საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი დავით გერლიანთან დაკავშირებულ პროცესებს და აცხადებს, რომ ე.წ კანონიერი ქურდის დეპორტის თუ გამოძევების შემთხვევაში უკრაინული მხარე ვალდებული იყო ეს ფაქტი ეცნობებინა ქართველი სამართალდამცავებისთვის. „ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია და ვერავინ შემაცვლევინებს ამაზე აზრს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო გამოძევება თუ გამოდეპორტირება, ქართული მხარე უნდა ყოფილიყო საქმის კურსში. გერლიანის შემთხვევაში, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ წარმოებდა, შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა აღრიცხვაზე დაყენებული გამშვებ პუნქტზე. ამასთან, ის შემოვიდა სხვა გვარით“,** — აცხადებს მღებრიშვილი და დასძენს, რომ გერლიანის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა მხოლოდ ერთ ტელეკომპანიას, ხოლო უკრაინულ მხარეს ოფიციალური უწყებებისთვის არანაირი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

შს მინისტრის განცხადებით, ძალიან მალე გამოქვეყნდება ინფორმაცია 2006-2012 წლებში საქართველოში კანონიერი ქურდების შემოსვლასთან დაკავშირებით — **„არაერთხელ გასაჯაროვდა იმ „კანონიერი ქურდების“ სია, რომლებმაც 2006-12 წლამდე სახელმწიფოს საზღვარი გადმოკვეთეს და გადაკვეთეს ოფიციალურად და მათ მიმართ არანაირი ზომები არ გამოიყენეს, არავინ დაუკავებიათ და პირიქით, თავისუფლად გადაადგილდებოდნენ“,** — განაცხადა მღებრიშვილმა.





# ინებეთ წამლები ფასდაკლებითო! – ისემც ცხვირი დაგიმშვენდეთ!

**მთავრობები მიდიან და მოდიან, სამკურნალწამლო ბიზნესის სფეროში კი მდგომარეობა უცვლელი რჩება და მასთან ერთად შეჭირვებული ხალხის მდგომარეობაც, ძალიან ცუდია, რა თქმა უნდა, გონიერი ხელისუფლება კარს მომდგარი არჩევნების წინ ხალხს ამის ნიადაგ თმენას ვერ დაავალდებულებს.**

**– სწორედაც რომ, გვაცუცურაკებენ, – აცხადებს ჩემთან საუბარში კარის მეზობელი, პენსიონერი ჯემალ ცუცქირიძე და მზად არის, თავის სიმართლეში მთელი დუნია დაარწმუნოს. რა ფასდაკლება, რის ფასდაკლება, ამბობს ის, აფთიაქებში წამლებს ფასებს კი არ აკლებენ, პირიქით, ყოველ ხელის აქნევაზე უმატებენ, თანაც ფიქრობენ, რომ ვირეშმაკობას ვერ მივუხვდებით და საკუთარ თაღლითობაზე იოლად წამოგვაგებენ.**

თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ასეთი სკანდალური განცხადების შემდეგ რომელს უნდა დავუჯეროთ, ცხოვრების სიდუხჭირით ათას ვაებაგამოვლილ პენსიონერს, თუ სატელევიზიო რეკლამებს, რომელთა მტკიცებით, ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე თურმე ისეთი ჯანსაღი კონკურენციაა, რომ მედიკამენტებზე აქა-იქ შემორჩენილი მაღალი ფასებიც კი სულ პანტაპუნტით ცვივა. ამაზე მიგვანიშნებენ აფთიაქების მიმზიდველად „მოლაპარაკე“ ვიტრინებიც, რომლებიც ცხოვრებით დალხენილ მოსახლეობას აქციებად მონათლულ დღეებში მედიკამენტებს დიდი ფასდაკლებით სთავაზობენ.

ჯუმალ ცუცქირიძე გამონაკლისი რომ იყოს, რომელიც ფარმაცევტული ბაზრის ბობოლებზე აუგს ლაპარაკობს, კიდევ რა უჭირდა. სამწუხაროდ, მსგავსი შეფასებებით არის გაჯერებული ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის დამოკიდებულება მედიკამენტების სპეკულაციური ფასებისადმი, რაზეც ღიად საუბრობენ ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა თავკაცებიც.

– ჩვენ დავინტერესდით სააფთიაქო ბაზარზე შექმნილი ვითარებით, – განაცხადა ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ, – და დავიწყეთ ხსენებული ბაზრის შესწავლა საქართველოსა და მის მეზობელ თურქეთში, სადაც რეგიონში ყველაზე მაღალი ფასებია.

და რა აღმოჩნდა, არ გაინტერესებთ? როგორც ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში წარმოებული ერთი და იგივე კომპანიის წამალი საქართველოში 300-400 პროცენტით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე თურქეთში. **ჩვენს მიერ განხორციელებულმა საკონტროლო შესყიდვებმა აჩვენა, რომ ფრანგული წარმოების მედიკამენტი „არისტეფტი“ თურქეთში, ქალაქ რიზეს აფთიაქში ღირს 37 ლარის ეკვივალენტი, საქართველოს უკლებლივ ყველა აფთიაქში კი – 125 ლარი, თითქმის ოთხჯერ ძვირი(!).**

რა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება ხსენებული წამალი? თურმე სისხლის მიმოქცევის მოსაწესრიგებლად და მას უმეტესად მოიხმარენ პენსიონერები ისეთი მძიმე დაავადებების მერე, როგორებიცაა ინსულტი, ანევრიზმა და ასე შემდეგ. ასევე **კარტანი, რომელსაც ძირითადად ხანდაზმულები მოიხმარენ, თურქეთში ღირს 8 ლარი და 15 თეთრი, საქართველოში კი 28-30 ლარი.**

რატომ არის წამლების ფასებზე ამხელა სხვაობა ჩვენსა და თურქეთის ფარმაცევტულ ბაზრებს შორის? იმიტომ, ამბობს ჯონდი ბაღათურია, რომ **საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარს განაგებს ოთხი მსხვილი მონოპოლისტი კომპანია, რომლებიც დებენ უკანონო გარიგებას, რომ დააწესონ წამლებზე სპეკულაციურად მაღალი ფასები. ამას სამართლის ენაზე ჰქვია კარტერული გარიგება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია და რომლის მიზანიც გახლავთ ხალხის ძარცვა-გატყავება!**

მედიკამენტების ზღვარგადასული ფასები რომ მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად აწევს, ეს კარგად ჩანს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევიდან, რომელიც ახლახან გასაჯაროვდა. კვლევის თანახმად, მოსახლეობის 47 პროცენტი ფიქრობს, რომ იმ მედიკამენტების ფასი, რისი ყიდვაც ყველაზე ხშირად უწევთ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან გაიზარდა, 35 პროცენტის აზრით – ცოტათი გაიზარდა, 9 პროცენტს მიაჩნია, რომ ფასი არ შეცვლილა, ხოლო 2 პროცენტის აზრით, ფასი ცოტათი შემცირდა.

ამ მხრივ მოსახლეობას სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი ალიოშა ბაკურიძე, რომელიც აცხადებს, რომ **ჩვენს ქვეყანაში მედიკამენტები 200, ზოგ შემთხვევაში კი 500-პროცენტიანი მოგებით იყიდება.**

– ყოველდღიურად რეკლამა კეთდება და წამლები დაახლოებით 100 პროცენტით იაფდება. როგორ, **თუ თავის დროზე მათ 200-300-პროცენტიანი ფასნამატი არ ჰქონდათ, დავიჯერო, ისინი მედიკამენტებს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად ყიდიან?** – კითხულობს ბაკურიძე. მისი თქმით, მედიკამენტების ექსკლუზიურად შემომტანი კომპანიების შემთხვევაში, ფასნამატი შეიძლება ზოგიერთ წამალზე 500 პროცენტიც იყოს, რადგან მათ კონკურენციას ვერავინ უწევს.

დღეს ფარმაცევტულ ბაზარზე ყველაფერი შეთანხმებით ხდება. თუ დასჭირდათ, მომხმარებელს მოულოდნელად დემპინგურ ფასებს შესთავაზებენ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ბაზარზე მხოლოდ მსხვილი კომპანიები დარჩნენ და რასაც მოისურვებენ, ის აკეთონ. ბაზარი არის მთლიანად მონოპოლიზებული, ყველაფერი მოქცეულია ლობიზმის მარწუხებში. მონოპოლიური ძალაუფლების მქონე კომპანიები თვითონ ახდენენ წამალზე მოთხოვნის ფორმირებას, ბაზარს პროდუქტს თვითონვე აწვდიან და თვითონვე მართავენ ფინანსურ რისკებს სადაზღვევო კომპანიების სახით. ეს ანომალია ბევრად უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე წამლის ფასებზე კარტერული გარიგება, – მიაჩნიათ ექსპერტებს. მათი აზრით, მართალია, ბაზარზე ახალ, მოთამაშის შემოსვლით ცვლილებების მოლოდინი გაჩნდა, მაგრამ მდგრად შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ამასთან დაკავშირებით, ვცადე, კითხვა შემეპარებინა ჩვენთვის უკვე ნაცნობი პენსიონერებისთვის. – **ბატონო ჯემალ, ვეუბნები, მგონი, არის რაღაც აფთიაქები, რომლებიც იაფი მედიკამენტებით იწონებენ თავს.**

– არ დაიჯეროთ, ეგენი ყველანი ერთმანეთის კონკურენტები კი არა, ფაქტობრივად, მონოპოლისტები არიან, რომლებმაც ნახეს უპატრონო ქვეყანა და გადახდისუუნარო ხალხს ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს გვაცლიან. სახელები აქვთ აფთიაქებს სხვადასხვა, ზოგს „პსპ“ ჰქვია, ზოგს „ავერსი“, ზოგსაც „ჯიპისი“ თუ „ფარმსახლი“, თორემ წამლების ფასი ყველა მათგანში გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

**– ბატონო ჯემალ, გასაგებია, რატომაც არ მოგწონთ ფარმაცევტულ ქსელში ეს ეგრეთწოდებული „ფასდაკლებები“, მაგრამ იქნებ ისიც გვითხრათ, როგორ ფასებს ისურვებდით.**

– ისეთს, როგორიც დღეს ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყნებშია. არ გვინდა, ბატონო, წამლებზე ეს მოჩვენებითი, თაღლითური ფასდაკლებები. ხელისუფლების სურვილი თუ იქნება, ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებაც არ გაჭირდება, მოისპობა კარტერული გარიგებები, წამლებზე წარამარა ფასმატებები, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, შედარებით ხელსაყრელ ფასებში შეიძინოს მედიკამენტები.

კაცმა რომ თქვას, რაც აქ პენსიონერმა ჩამოთვალა, ამ ყველაფრის შესრულების პირობას იძლეოდა კიდეც „ქართული ოცნება“ ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძალაუფლება გაინაღდა, როგორღაც გაიტრუნა. კერძოდ, რომ იქადნიდა, ხელისუფლებაში შემოსვლისთანავე მონოპოლიზმს ერთიანად ამოვძირკვავო, ვერ შეასრულა. ეგ კი არადა, როგორც ჯონდი ბაღათურია აცხადებს, საქართველოს სააფთიაქო ბაზარზე მოქმედი ოთხი მსხვილი კომპანიიდან დღესაც ორი კომპანია აფინანსებს ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო მეორე ორი – „საქართველოს ოცნებას“.

**ვერ გეტყვით, რამდენად სარწმუნოა „ქართული დასის“ ლიდერის მოსაზრება, მაგრამ ის ფაქტი, რომ მთავრობები მიდიან და მოდიან, სამკურნალწამლო ბიზნესის სფეროში კი მდგომარეობა უცვლელი რჩება და მასთან ერთად შეჭირვებული ხალხის მდგომარეობაც, ძალიან ცუდია, რა თქმა უნდა, გონიერი ხელისუფლება კარს მომდგარი არჩევნების წინ ხალხს ამის ნიადაგ თმენას ვერ დაავალდებულებს.**



**ოთარ ხუციშვილი**

# კიდევ ერთი სიცრუე!

## მატარებელი არც ერთ გვირაბში არ ეტევა!

სამოქალაქო პლატფორმა – „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გუშინ გამართულ პრეკონფერენციაზე „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 40 მილიონ ევროდ შეძენილ „Stadler“-ის ფირმის ორსართულიანი სამგზავრო მატარებლების შეძენაზე ისაუბრა. როგორც გივი კუბლაშვილმა განაცხადა, მატარებელი არც ერთ გვირაბში არ ეტევა:

**„როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „საქართველოს რკინიგზამ“, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და ავანსის თანხა გადარიცხა, დაიწყეს იმის კვლევა თუ რამდენად შეძლებდა მატარებელი წიფის გვირაბში გავლას, ამისათვის აეგო სპეციალური მაკეტი და დადგინდა შემდეგი: როგორც რკინიგზელებთან კონსულტაციით დადგინდა, გვირაბში გავლას ერთდროულად ორი მატარებელი ვერ შეძლებს და გვირაბის მონაკვეთზე მაქსიმალური სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 40 კმ/საათს; აღნიშნული მატარებლებისთვის დეპო არ არის მზად და საჭიროებს რეკონსტრუქციას; 2016 წლის 9 ივნისს, შ.პ.ს. „კანო“-სთან დადებული ხელშეკრულებით უნდა მოხდეს ურეკის ვაგზალზე ბაქანის რეკონსტრუქცია, რათა მგზავრმა შეძლოს მატარებლიდან ჩამოსვლა.მთელი რიგი პრობლემებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ „საქართველოს რკინიგზამ“, აღნიშნული მატარებლების შეძენა მხოლოდ რუსეთის ფედერაციისთვის დახმარების გამო გადაწყვიტა, რადგან აღნიშნული მატარებლები დამზადებული იყო „დომოდედოვოს“ აეროპორტიდან მგზავრების მოსკოვის ცენტრამდე ტრანსპორტირებისთვის, რუსეთმა ველარ შეძლო საჭირო თანხის გადახდა და დამზადებული 8 მატარებლიდან 4 საქართველომ წამოიყვანა, ხოლო – აზერბაიჯანმა“,** – განაცხადა კუბლაშვილმა.



# ცაგურიას პასუხი ვირეშმაკა „ნაცნამსხვრევებს“

სიცრუე და მოკლეფეხება ტყუილი – ასე აფასებს საქართველოს რკინიგზის პრესამსახურის უფროსი დაჩი ცაგურია „ სამოქალაქო პლატფორმა – „ახალი საქართველოს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შეძენილი ორსართულიანი მატარებლები, გვირაბში არ ეტევა. ცაგურია პარტიის ლიდერისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

**„ეს არის ვაშაძის მიერ გავრცელებული სისულელე, თავის პარტმუშაკების მიერ გავრცელებული ზღაპარი, რომელზეც მე მივმართავ ვაშაძეს, როდესაც ჩამოვა ეს მატარებელი საქართველოში და გვირაბს გაივლის ყოველგვარი შეფერხების გარეშე, საზოგადოებას და მედიას მოუხადოს ბოდიში და პირადად ვაშაძემ აიღოს პასუხისმგებლობა იმ სისულელეებზე, რომელიც მათ გააავრცელეს. რატომ უნდა ვიყიდოთ ისეთი მატარებელი, რომელიც გაბარიტში არ ზის და გვირაბებში ვერ ეტევა და ან რატომ უნდა აწარმოოს ასეთი მატარებელი შტადლერმა. საქართველოს რკინიგზაში დაუშვათ გაგიჟდნენ და ასეთ მატარებელს ყიდულობენ. შტადლერშიც ასეთი არაკომპეტენტური ხალხია, რომელმაც შეიძლება ასეთი მატარებელი აწარმოოს, რომელიც გვირაბში არ გაეტევა? ეს ყოველგვარ სერიოზულობის ზღვარს სცდება და სიურეალისტურ სივრცეში გადადის. ეს არის სიცრუე და მოკლეფეხება ტყუილი. მივმართავ ვაშაძეს, ბოდიში მოიხადოს პირადად ამ ტყუილის გავრცელებისთვის, რომელიც მისმა პარტიის კომკავშირმა გაავრცელა“,** – განაცხადა დაჩი ცაგურიამ.

◉ სასამართლო



# ნაფიც მსაჯულთა პროფესიული წრე შესაძლოა, გაიზარდოს

**ნაფიც მსაჯულთა პროფესიული წრე შესაძლოა, გაიზარდოს. მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, ნაფიც მსაჯულად შეიძლება შეირჩეს გამომძიებელი, პოლიციელი, იურისტი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრიც კი.**

უმრავლესობაში მიიჩნევენ, რომ პროფესიის მიუხედავად, ამ ადამიანებსაც უნდა მიეცეთ ნაფიც მსაჯულად ყოფნის უფლება.

ცვლილებებს მხარს არ უჭერენ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები, ასევე — ნაციონალები. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის სერგი კაპანაძის განცხადებით, პარტიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია წრის გაფართოება და პროფესიების დამატება, რადგან ამ ადამიანებმა, თავიანთი თანამდებობრივი სტატუსითა და ცოდნით შესაძლოა, გავლენა მოახდინონ სხვა მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე, რაც საბოლოოდ, ვერდიქტზეც აისახება.

დეპუტატ პავლე კუბლაშვილის აზრით კი, ამგვარი ცვლილებების ამოქმედების შემთხვევაში, სრულად მოხდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის დისკრედიტაცია.

სავარაუდო ცვლილებებს აკრიტიკებენ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებიც. დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე ინტერესდება, რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში მსაჯულად მთავარი პროკურორი აღმოჩნდება ან ყველა მსაჯული პროფესიით პროკურორი იქნება?!

თავის მხრივ, მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე განმარტავს, რომ პირადად უნახავს მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც აშშ-ში ნაფიცი მსაჯულის ვალდებულებას ასრულებენ. ისინი შესარჩევ ტურშიც იღებენ მონაწილეობას და, თუკი პროკურორს (ან მოსამართლეს) კონკრეტულ საქმესთან შეხება არა აქვს, თუკი შესაბამისი ცოდნა და მორალური თვისებები გააჩნიათ, მათ შეუძლიათ თავისი ცოდნა ამ მიმართულებით გამოიყენონ.

მართალია, უკვე გაცხადდა, რომ სისხლის სამართლის ყველა ის საქმე, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ნაფიც მსაჯულთა განსჯადი აღარ იქნება, მაგრამ For.ge შარშანაც წერდა ამ ინსტიტუტის ცალკეული ნაკლოვანების შესახებ. იმხანად პრემიერი ღარიბაშვილიც მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა „სრული კრახი და კოლაფსი განიცადა“. ამიტომ საჭირო იყო ამ ინსტიტუტის გადახედვა და ხარვეზების გამოსწორება.

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა გონივრულ ვადაში ვერდიქტის გამოტანა ვერ შეძლეს, რის შემდეგაც მოსამართლემ ისინი დაითხოვა. პარალელურად, მოკლული ლაშა მახარაძის ბიძა ზაალ ჟვანია სკანდალურ განცხადებას აკეთებდა, რომ ხდებოდა ნაფიც მსაჯულებს შორის გადაბირება ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის სასარგებლოდ.

**— როგორც წესი, ნაფიც მსაჯულებზე ძირითადად ორი დამოკიდებულება მუშაობს — ან ეშინიათ, ან ეცოდებათ დამნაშავე და მძიმე გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობას ვერ იღებენ. ასე ხდება უცხოეთშიც.**

— ისტორიას ახსოვს ფაქტები, როცა მსაჯულთა არაპროფესიონალიზმი ძვირად დაუჯდა სახელმწიფოს. ერთ-ერთი ასეთი იყო ნაფიც მსაჯულთა მიერ სოკრატესთვის გამოტანილი სასიკვდილო ვერდიქტი, სოკრატეს მიერ გაქცევის უარყოფა და შხამიანი ფიალით სოკრატეს სასიკვდილო განაჩენის აღსრულება.

ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ცნობილი ამერიკელი ფეხბურთელისა და მსახიობის — ოჯეი სიმპსონის შემთხვევა იყო, როცა ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელი სიმპსონი გაამართლეს და ტრაგიკული ისტორია „ჰეფი ენდით“ დააგვირგვინეს. ეს მაშინ, როცა 1994 წლის 13 ივნისს საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს ოჯეი სიმპსონის ყოფილი მეუღლე ნიკოლი და მისი საყვარელი, რონალდ გოლდმენი. მკვლელობის ბრალდებით მალე ოჯეი სიმპსონი დააკავეს. საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულებს ჩაბარდა. უპრეცედენტოდ დაძაბული სასამართლო პროცესი წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. გაჩნდა საფრთხე, რომ შავკანიანი სიმპსონის დასჯა ლოს-ანჯელესის შავკანიანი მოსახლეობის მასობრივ პროტესტს გამოიწვევდა. ამის მიუხედავად, ყველა ეჭვობდა, რომ სწორედ ოჯეი სიმპსონმა მოკლა ყოფილი მეუღლე საყვარლითურთ, ნაფიცმა მსაჯულებმა სიმპსონი მაინც გაამართლეს და ის სიკვდილით დასჯას გადაარჩინეს. როგორც ჩანს, ამ ემოციურ სასამართლო პროცესზე ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება (რომელთა უმრავლესობაც მუქკანიანი იყო) ემოციითაც იყო ნაკარნახევი. მოგვიანებით მკვლელობაში ეჭვმიტანილმა გამოაქვეყნა წიგნი, სახელწოდებით „მე რომ ეს ჩამედინა“, რაც ხალხის აზრით, ცინიკური იყო და სიმპსონის მიერ ორმაგი მკვლელობის ჩადენის აღიარებას ნიშნავდა. მოგვიანებით საქმე სამოქალაქო სასამართლომ განიხილა და ნაფიც მსაჯულთა ახალმა შემადგენლობამ სიმპსონი დამნაშავედ ცნო.

**— რას შეცვლის ნაფიც მსაჯულთა პროფესიული წრის გაფართოება და ნაფიც მსაჯულებად გამომძიებლის, პოლიციელის, იურისტის, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის ჩართვა?**

— For.ge-სთან საუბარში ფსიქოლოგი **რუსუდან ფხაკაძე** არ მალავს, რომ სავსებით ემხრობა, თუკი მთლიანად ფსიქოლოგებით დაკომპლექტდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. თუ ასე არ მოხდება, მაშინ ნაფიც მსაჯულთა პროფესიული წრე ერთი-ორი წესიერი ფსიქოლოგითა და ფსიქიატრით უნდა გაიზარდოს.

რაც შეეხება ზოგიერთების შიშს, რომ ზემოთ ნახსენები პროფესიების წარმომადგენლებმა თავიანთი თანამდებობრივი სტატუსითა და ცოდნით გავლენა არ მოახდინონ სხვა მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე, რუსუდან ფხაკაძე მიიჩნევს, რომ ეს ხალხი განაჩენის შინაარსზე უნდა მუშაობდეს და არა — ზეგავლენაზე. თორემ ასეთ ზეგავლენას ყველა ის ადამიანი ახდენს ერთმანეთზე, ვისაც ქარიზმა გააჩნია, ვისაც კარგი ლოგიკური აპარატი აქვს და ზეგავლენა მარტო პროფესიით არ არის განპირობებული.

იურისტი **ლევან ალაფიშვილი** For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ ჩვენმა კანონმდებლებმა უფრო დამაჯერებლად უნდა წარადგინონ ის არგუმენტები, რითაც განპირობებულია ნაფიც მსაჯულთა წრის გაზრდა, მით უმეტეს, როცა ეს წრე ისედაც ფართოა და არცთუ მრავალრიცხოვანია საქმეები, რომლებიც განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.

იურისტის თქმით, ამ წრის გაფართოება ნიშნავს, რომ იქ ინსტიტუციურად დაინტერესებული მხარე შეგყავს და ინტერესთა კონფლიქტი ბუნებრივად შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ ეს საწყის ეტაპზევე გამოიწვევს ამ პროცესის დისკრედიტაციას.

ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე საუბრისას უნივერსალური სისტემა არ არსებობს და ყველა სახელმწიფო სხვადასხვა არჩევანს აკეთებს. ქვეყნების ნაწილმა შეზღუდა იმ საქმეთა კატეგორია, რომელიც ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განიხილონ, ნაწილმა კი გააფართოვა. ეს დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე, კულტურაზე, საზოგადოების მართლშეგნებაზე.

**მანანა ნოზაძე**

◉ 8000 დღე გასულა...

# „მშიბზია“ - გამარჯობა აფხაზეთს დანარჩენი საქართველოდან!

**რამდენიმე დღეა სოციალურ ქსელ ფეისბუქში ახალგაზრდების ინიციატივით აფხაზურად მისალმების აქცია, „მშიბზია“, მიმდინარეობს.**

„მშიბზია“ აფხაზური სიტყვაა და ქართულად გამარჯობას, დღე მშვიდობისას ნიშნავს. მასში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ, საკუთარ ფოტოზე გააკეთონ წარწერა „მშიბზია“ ან ასეთწარწერიანი პლაკატით გადაიღონ ფოტო და ატვირთონ ვებგვერდზე. ახალგაზრდების ჯგუფს, აქციის ფარგლებში, 8 000 მისალმების მოგროვება სურს, რადგან სწორედ ამდენი დღეა, რაც აფხაზებს არ მისალმებიან დანარჩენი საქართველოს მცხოვრებნი.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ბაჩო მებურიშვილის, განცხადებით, აფხაზეთთან მხოლოდ პოლიტიკური საუბრების დონეზე თუ სხვადასხვა ორგანიზაციის პროექტების ფარგლებში მყარდება ურთიერთობა, რაც საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომ ხუთმა ახალგაზრდამ, აფხაზებთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის იმედით, სოციალური პროექტის განხორციელება გადაწყვიტა. ისინი ემიჯნებიან ყველა პოლიტიკურ სუბიექტს და არასამთავრობო ორგანიზაციას. ამბობენ, რომ იდეას საკუთარი მწირი ფინანსური რესურსით შეასხამენ ხორცს.

**„8 000-ზე მეტი დღეა, ჩვენ არ მივსალმებივართ ერთმანეთს, წესიერად არ დავლაპარაკებივართ ერთმანეთს, არ გვილაპარაკია ჩვეულებრივად, მეზობლურად, მეგობრულად. არ მიგვიქცევია ერთმანეთისთვის ყურადღება. სულ რაღაც ომის გახსენებით, არგუმენტებით, ძველი შეცდომების გახსენებით ვლაპარაკობთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ეს 8 000-დღიანი სივრცე, სიცარიელე მისალმებით ამოგვევსო და შეგვეგროვებინა ეს 8 000 მისალმება“,** — განაცხადა ბაჩო მებურიშვილმა.

ურთიერთობის მსგავსი ფორმით დაწყების მცდელობა მათ 2008 წელსაც ჰქონდათ, როცა აფხაზებს სოციალური ქსელის საშუალებით ახალი წელი მიულოცეს. ბაჩო მებურიშვილის თქმით, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოხმაურება იყო არაერთგვაროვანი — დადებითიც და უარყოფითიც.




**„მაგრამ, როდესაც ხვდებიან, რომ არაფერს არ მოითხოვ მათგან და ხვდებიან, რომ მათთან, უბრალოდ, საუბარი გინდა, იცვლება განწყობა და სხვანაირი საუბარი იმართება ხოლმე“,** — განმარტავს ის.

„მშიბზიასთვის“ სამზადისი ერთი წლის წინათ დაიწყო. აქციის ფარგლებში უკვე 1000-ზე მეტი ფოტო მოგროვდა, რომელთა ნაწილი მომხმარებლებმა თავად ატვირთეს ვებგვერდში ან ფეისბუქზე, ნაწილი კი თავად ორგანიზატორებმა გადაიღეს რეგიონებში მოგზაურობისას.

აფხაზებს საკუთარ ფოტოსთან ერთად მისალმება უკვე გაუგზავნა ზუგდიდელმა სალომე გარდავამ. ამბობს, რომ მისალმების კამპანიის შესახებ სოციალური ქსელის საშუალებით შეიტყო. თავდაპირველად დაინტერესდა ახალი, როგორც თავად უწოდებს, კრეატიული ვებგვერდით, შემდეგ სიტყვა „მშიბზიას“ მნიშვნელობაც გაიგო და აქციას სიამოვნებით შეუერთდა.

**„ზოგადად, მივესალმები ისეთ ინიციატივას, რომელიც ორი მონათესავე ერის ერთმანეთთან დაახლოებას გულისხმობს და მიზნადაც ამას ისახავს. ხურჩაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ეს იყო, ალბათ, თვითონ მოსახლეობიდან წამოსული კარგი ინიციატივა. შესაძლოა, ზოგიერთი ერი უფრო მტრული განწყობით ყოფილიყო, მაგრამ მე მიხარია, რომ არ არის ასეთი განწყობა და ჩვენ უფრო სასიამოვნოდ და მეგობრულად ვუდგებით ამ საქმეს“,** — ამბობს სალომე გარდავა.

„მშიბზიას“ ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ აქციით გარკვეულ მიზანს უკვე მიაღწიეს. ბაჩო მებურიშვილის სიტყვებით, აფხაზები ალაპარაკდნენ, აქვთ შეკითხვები და მათთან კონტაქტზე გამოდიან.

**თამარ ზანთარაია,**
**რადიო „თავისუფლება“**

# უცნობი გენერალისიმუსი...

**სტალინი. პირადი ცხოვრება**

*გიორგი ეგნატაშვილის მოგონებები*

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვმა)



იაკობ სტალინი ახალგაზრდობაში

## იაშა

**სტალინმა** თავის უფროს ვაჟიშვილს პაპაჩემის პატივსაცემად იაკობი დაარქვა. მოსკოვში რომ გადავედი, 1931 წელი იყო. ერთ თვეს, შერემეტევის დიდ სახლში, გრანოვსკის ქუჩაზე, იაშასთან ვცხოვრობდი. იმ სახლში ხრუშჩოვი, ბულგანინი და მოლოტოვიც ცხოვრობდნენ, იმავე სახლის მარცხენა ფლიგელში ცხოვრობდა მარიამ სვანიძე – სტალინის პირველი ცოლისდა. იაშა სწორედ თავის დეიდასთან ცხოვრობდა. თავად მარიამ სვანიძე სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს გამგის – ენუქიძის მდივანი გახლდათ. მე იქ მათთან ერთი თვე ვიცხოვრე. მე და იაშა განუყრელები ვიყავით. ერთად დავდიოდით შეჯიბრებაზე, ვთამაშობდით ბილიარდს „მეტროპოლიტენში“ – იაშას ბილიარდი ძალიან უყვარდა, შეეძლო მთელი ღამე შეუჩერებლად ეთამაშა. იყო შემთხვევა, როცა დასასვენებელ სახლში ერთი დღე და ღამე ისე ითამაშა, საბილიარდოდან თავი წუთითაც არ გამოუყვია. საერთოდაც ძალიან აზარტული მოთამაშე იყო... დღემდე იაშა ჩემში ელექტროდენის ასოციაციას იწვევს, ვინაიდან ელექტროგამტარი პირველად მაშინ ვნახე, როცა ის გავიცანი.

მოსკოვში პირველად მხოლოდ ორი ამხანაგი მყავდა... კუტუზოვი (მამამისი მაშინ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო, ცხოვრობდა ზუსტად უმაღლესი საბჭოს შენობის მოპირდაპირე სახლში) და იაშა, ვის სახლშიც მანამდე ვიცხოვრე, ვიდრე მამა გადმოვიდოდა მოსკოვში საცხოვრებლად. მანამდე მამა ყირიმში მუშაობდა... და აი, იაშამ გადაწყვიტა სამუშაოდ მოვეწყე, რისთვისაც „ტროიცე-სერგეევის“ მონასტერში საგუბერნიო მატარებლით წამიყვანა. ის მატარებელი, რომელიც პირველად მაშინ ვნახე, ზაგორსკამდე მიდიოდა. ზაგორსკს იმ დროს „სერგიევ-პოსადი“ ერქვა და სწორედ იქ იყო ის ელექტროსადგური, სადაც იაკობის ამხანაგი მუშაობდა. იაკობმა იქ მუშაობის დასაწყებად მიმიყვანა. მაგრამ, რომ ვნახე, არ მომეწონა, და გადავწყვიტე, შოფრობის კურსებზე წავსულიყავი. მართლაც, დავამთავრე ის კურსები და დავიწყე მძღოლად მუშაობა, რის შემდეგაც უკვე მე ვასწავლიდი იაშას მანქანის ტარებას, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, მანქანის ტარებაში ვავარჯიშებდი. მამამ იაშას „ემკა“ აჩუქა. ის მანქანები მოსკოვში ახალი გამოჩენილი იყო. და აი, ერთხელაც მეშჩანინოში აბელ სოფრომის ძე ენუქიძის აგარაკზე წასვლა გადავწყვიტეთ. მე საჭესთან დავჯექი, ის ჩემ გვერდით დაჯდა და წავედით. ქალაქიდან გზატკეცილზე გასვლისას იაშამ – საჭესთან მე დავჯდები, შენ ჩემ გვერდით დაჯექი და მიყურე, მანქანას როგორ წავიყვანო. ერთი კი შევყოყმანდი, მაგრამ ბოლოს დავეთანხმე – კარგი, დაჯექი, ოღონდ ძალიან ნუ იჩქარებ-მეთქი, – ვუთხარი. ის კი, დაჯდა თუ არა, მანქანა ისე გააქროლა, აგარაკამდე სულ ვკანკალებდი. იქ რომ მივედით, მანქანიდან გადმოვედი და ვუთხარი – იაკობ, მორჩა, მე ან აქ ვრჩები, ან ფეხით წავალ სახლამდე, მაგრამ საჭესთან ახლოსაც არ გაგაკარებ-მეთქი!... რამდენი არ მეხვეწა, რამდენი არ მემუდარა, მაგრამ მანქანასთან ახლოსაც არ მივუშვი, მე თვითონაც ძალიან ვიყავი შეშინებული, ხომ გესმით...

იაშა ძალიან თავმდაბალი, ძალიან კარგი, ძალიან კეთილი ადამიანი იყო. მახსოვს, ყირიმში ერთი ასეთი ამბავი მოხდა. მამა იქ – ფოროსში დასასვენებელი სახლის დირექტორად მუშაობდა, დიახ, სწორედ იმ ბედნავს ფოროსში, სადაც გორბაჩოვი პუტჩის დროს ისვენებდა. აი, იმ ფოროსში იყო შენობა, უფრო სწორად სასახლე, რომლის მინაშენშიც განთავსებული იყო საბჭოთა მეურნეობის ადგილობრივი განყოფილება, ხოლო მისგან ცოტა მოშორებით სარძევე ფერმა. იაშა ჩვენთან იქ ხშირად ჩამოდიოდა, ის კი არა, თითქმის სულ იქ იყო. ფოროსში ისეთი მთები და კლდეებია, ხომ გესმით, ქვა ქვაზეა გადმოკიდებული, თან იქ ისეთ ქვისსამტვრევებს ამუშავებენ, ასე გგონია, საცაა კლდე ჩამოიქცევა... და აი, ერთხელაც იაშა იმ მთებში სანადიროდ წავიდა. დრო გადის, ველოდებით, ველოდებით, ვღელავთ, ვნერვიულობთ, მაგრამ, არა, არ ჩანს! უცებ ქვებზე, არ ვიცი, მოცოცავს, არ ვიცი, მოფოფხავს, მხარზე თოფი აქვს გადაკიდებული, ხელში ძაღლი უჭირავს. ვიფიქრე, ძაღლი, ალბათ, დაჭრილია-მეთქი, ის კი თურმე დაიღალა და იაშას ხელში აყვანილი მოჰყავს! ვეკითხები – ჰო, მაგრამ, შენ თვითონ არ დაიღალე, ენაგადმოგდებული ძლივს მოფოფხავ-მეთქი?... აი, ასეთი კეთილი ბიჭი იყო, დაიღალაო, ძაღლი ხელში აყვანილი მოჰყავდა, თუმცა დაღლილობისაგან თვითონაც ძლივს სუნთქავდა.

1931 წელი იყო. მე მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, იაშა, მართალია, ჩემზე შვიდი წლით იყო უფროსი, მაგრამ სულ ერთად ვიყავით, გოგოებთანაც ერთად ვსეირნობდით. მან ჯერ რკინიგზის ინსტიტუტი დაამთავრა, ზუსტად ომის წინ კი – სამხედრო-საარტილერიო აკადემია. ყველა მიზეზი არსებობდა იმისთვის, რათა გენერალურ შტაბში დაეტოვებინათ, მაგრამ ფრონტზე ომის დაწყების პირველსავე დღეებში წავიდა, ივლისში უკვე ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, თუმცა მალე ტყვედ აიყვანეს და მოკლეს...




## ალილუევები

– **სვეტლანა** პირველად ოცდაათიან წლებში ვნახე. მაშინ სულ პატარა გოგო იყო, არ მახსოვს, მგონი, ოცდაექვს წელს არის დაბადებული... მოკლედ, ჯერ სულ პატარა იყო.

– წაიკითხე მისი მოგონებები?

– ჰო, რაღაც წავიკითხე და გაოცებული დავრჩი. არ ვიცი, სტალინის ქალიშვილი ასე როგორ დაეცა?! დავუშვათ ვასილი მართლაც მთვრალი იყო, მერედა შეიძლება საკუთარ ძმაზე ასე წერო?!

– სვეტლანა წერს, სტალინი წამებით მოკვდაო. ეს მართალია თუ იგონებს?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით.

– იმიტომ რომ თითქოს ღმერთმა დასაჯა...

– ის კი არა, თვითონ მის ქალიშვილს დასჯის ღმერთი. მისი წიგნი ეგრევე მოვისროლე, მისი ბოლომდე წაკითხვა ვერ შევძელი. ასეთი მამის შვილს უფლება არა აქვს ასეთი სისულელეები წეროს... მე მგონი, ამას განგებ აკეთებს... ისე, ალილუევებს აქვთ გვარში რაღაც ნევროზული.

– ჰო, მაგრამ, გვარად ალილუევა რატომ არის?

– ეს გვარი მერე მიიღო, ხრუშჩოვის მოვლენების შემდეგ. ასე რომ...

– ეს დედის მხრიდან არა?

– დიახ, დედის... აი, დედამისის, ნადეჟდას დაკრძალვა კი კარგად მახსოვს. მაშინ სწორედ „გუმში“ ვცხოვრობდი. ჩემი ოთახი ზედა სართულზე იყო.

– შიგ „გუმში“?

– დიახ. იყო იქ საერთო საცხოვრებელი. რეგიონებიდან ჩამოსული საბჭოთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები იქ ხშირად ჩერდებოდნენ. მაშინ მათ „დეპუტატებს“ კი არა, უბრალოდ, კომიტეტის წევრებს ეძახდნენ. ეს იყო ძალიან სუფთა, ძალიან კარგი საერთო საცხოვრებელი. ცხელი წყალი ყოველთვის იყო ჩაისთვის, იქვე გვერდით იყო ბუფეტიც... ალილუევას ცხედარი მეორე ფლიგელში ესვენა, აი, იმაში, რომელიც მდინარე მოსკოვის მხარესაა.

– ნამდვილად იცით, რით გარდაიცვალა? მისი სიკვდილის შესახებ ბევრი სხვადასხვა ვერსიაა.

– დიახ, ბევრი. მე უფრო იმ ვერსიის მხარესა ვარ, რომლის მიხედვითაც ნადეჟდა სერგეევნამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა... ისინი – ცოლიცა და ქმარიც, ვოროშილოვთან იყვნენ, სტალინი ცოლს როგორღაც უხეშად მოექცა, მალე ის სახლში წავიდა და თავი მოიკლა.

– ამბობენ, ალილუევებს შიზოფრენია მემკვიდრეობით ჰქონდათო? ასეა?

– დიახ.

– ესე იგი, ფიქრობთ, რომ სვეტლანა დედისკენაა?

– დიახ, მემკვიდრეობით ეს დედისგან მიიღო.

– მისმა ქალიშვილმა საზღვარგარეთ სწავლა დაამთავრა თუ არა, სვეტლანამ იქ ბინა გაყიდა, ჩამოვიდა, მაგრამ მალე ისევ ლონდონში დაბრუნდა და ახლა უსახლკაროების თავშესაფარში ცხოვრობს?

– თბილისში ის ჩიკაგოდან ჩამოვიდა. იქ მას ბინაც მისცეს და აგარაკიც.

– ეგ როდის?

– რამდენიმე წლის წინათ. ზუსტად არ მახსოვს... წლები ისე გარბის, უკან მიხედვასაც ვერ ასწრებ... აქ მას შესანიშნავი ბინა ჰქონდა... ამბობენ, ძალიან მკაცრი იყოო. ერთხელ თურმე წყალთან დაკავშირებით ხელოსანი გამოიძახა პირველი საათისთვის, ხელოსანი კი, ნაცვლად პირველი საათისა, ორ საათზე მისულა. კარზე რომ დარეკა, სვეტლანამ კარი თურმე ცხვირწინ მიუკეტა – მე თქვენ მთელი საათი გელოდეთო. ამით იმის ხაზგასმა უნდოდა, საზღვარგარეთ ყველაფერი დათქმულ დროს კეთდება, აქ კი ყველა ისე იქცევა, როგორც მოეპრიანებაო... ასეთი ხასიათითა და დამოკიდებულებით... მოკლედ, ადგა და წავიდა.

– თქვენ თუ ხვდებოდით ხოლმე?

– მას შემდეგ, რაც მისი ის ნაწერი წავიკითხე, აღარც დამირეკავს და აღარც შევხვედრივარ... მანამდე, რა თქმა უნდა, ვხვდებოდი. ზოგჯერ ჩვენთანაც მოდიოდა, ერთად ვისხედით, ხოლმე მაგიდასთან, თუმცა ყოველთვის სხვებთან ერთად. სტალინის სიკვდილის შემდეგ პირისპირ მას მხოლოდ ლენინგრადში შევხვდი. იქ, ნევსკიზე, სადღაც სადოვოისთან ახლოს საიუველირო მაღაზიაა. შევედი იმ მაღაზიაში და ვხედავ, ვერცხლის ბეჭედს ყიდულობს. ერთმანეთს მივესალმეთ, მაღაზიიდან ერთად გამოვედით, კაფეში ნაყინი და შამპანური შევუკვეთეთ და ვისაუბრეთ. ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო, მას შემდეგ მე ის არ მინახავს. მერე მალე წავიდა აქედან.

ჰო, ასეთი უცნაური ბრძანდება სტალინის ქალიშვილი... ეს ამბავი მამამისის სიკვდილის შემდეგ მოხდა. „უდარნიკის“ მოპირდაპირე მხარეს მივდიოდი, რომ დავინახე „მოსკორეცკის“ ხიდიდან სვეტლანა გადმოვიდა, სპასკის ჭიშკარი გაიარა და ნიკოლაი მიხაილოვიჩთან შევიდა... ზუსტად 1953 წლის ზამთარია, სტალინი სულ ახალი გარდაცვლილია, მივდივარ ჩემთვის ჩუმად და უცებ ვხედავ, ბავშვები ციგაობენ, ერთი ყველაზე პატარა გოგონა წევს ციგაზე პირქვე და მიყურებს – ზუსტად სტალინის თვალებია – სტალინის თვალები მომჩერებია! გაოგნებული ერთ ადგილზე გავჩერდი. მე ვუყურებ, ისიც მიყურებს – არა, ეს სტალინის თვალებია, ზუსტად სტალინის გამომეტყველებაა-მეთქი და ძიძას ძებნა დავუწყე (იმ ქალის სახელი და მამის სახელი არ მახსოვს). ბოლოს დავინახე, რომ იქვე ახლოს იჯდა და მივედი, იმანაც დამინახა, წამოდგა და მომიახლოვდა. ეს სვეტლანასია-მეთქი? – ვკითხე. დიახ, სვეტლანასიაო, – მიპასუხა... აი, ასე – შვილიშვილის თვალებში უცებ სტალინის თვალები დავინახე... საოცარია! ის ბავშვი მაშინ ასე ხუთიექვსი წლის იქნებოდა. მგონი, კატიას ეძახდნენ, როგორც გავიგე, დედასთან ერთად საზღვარგარეთ არ წასულა, ის აქ მოსკოვში დარჩა (სვეტლანამ საზღვარგარეთ განათლება იმ ქალიშვილს მისცა, რომელიც ამერიკაში დაიბადა) ჟდანოვების ოჯახში, ვინაიდან სვეტლანა იური ჟდანოვზე იყო გათხოვილი, კატია იური ჟდანოვის შვილია.



სვეტლანა დედასთან ერთად

– სამოციანი წლების ბოლოს როსტოვის იმ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, რომლის რექტორიც იური ანდრეევიჩ ჟდანოვი ბრძანდებოდა.

– დიახ, სვეტლანას ქმარი სწორედ ის იური ჟდანოვი იყო, ანდრეი ალექსანდროვიჩის ვაჟი. 1934 წელს მანეჟში მძღოლად რომ ვმუშაობდი, სხვათა შორის, რამდენჯერმე წავიყვან-წამოვიყვანე მანქანით. მაშინ საშოფრო სკოლის კურსები ზუსტად ვარვარკაზე გვიტარდებოდა.

– შვილიშვილი სტალინის თვალებით!

– ასეა... მივაბიჯებ ჩემთვის ჩუმად და არაფერზე ვფიქრობ. ეს ესაა პირველად მოთოვა. მივდივარ გაკვალულ ბილიკზე და უცებ სტალინის თვალები მაჩერებს! გამოვფხიზლდი, თავი გადავაქნიე და მაშინვე მივხვდი – სვეტლანა იმ დროს ხომ ზუსტად მთავრობის სახლში ცხოვრობდა...

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99, 103, 108, 113




# მედიცინა, როგორც აფხაზეთთან და ოსებთან შერიგების საშუალება

### თბილისის ღუდუშაურის სახელობის კლინიკას ძირითადად მიმართავენ პაციენტები, რომლებმაც მოიარეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქები, იყვნენ მანამდე აფხაზეთის კლინიკებშიც

**150-ზე მეტი პაციენტი აფხაზეთიდან მიმდინარე წლის პირველ თვეებში მივიდნენ სამკურნალოდ თბილისის ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში. ექიმების სიტყვებით, უკანასკნელ ხანებში იმ ტერიტორიების მცხოვრებთა მიმართვა, რომლებიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ემორჩილებიან, მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

მარინა გელანტიას აქვს მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება აფხაზეთის საავადმყოფოებსა და სხვადასხვა ქალაქის კლინიკებში. პროფესიით ექიმს არაერთგზის ეკავა ხელმძღვანელის პოზიციები ბევრ სამედიცინო დაწესებულებაში. მას შემდეგ, რაც მას მოუწია დაეტოვებინა აფხაზეთი იქ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების გამო, მან შეიცვალა მუშაობის რამდენიმე ადგილი საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიებზე. დღეს იგი თბილისის ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა.

როდესაც მარინა რეგისტრაციაში ატარებს ახალ პაციენტებს, უწინარეს ყოვლისა, იგი ყურადღებას აქცევს პირადობის მოწმობის ნომერს. თუ იგი იწყება ციფრ 62-დან, მაშასადამე, ეს ადამიანი აფხაზეთიდან ლტოლვილია. ამ ხალხს ექიმები ეპყრობიან განსაკუთრებული სითბოთი. როგორც მარინა ამბობს, მათ ხომ „ერთმანეთთან აკავშირებს საერთო უბედურება და წარსული“. ძნელია დამალო ასეთი ურთიერთობა აფხაზებთანაც, რომლებიც ჩამოდიან თბილისში სამედიცინო დახმარებისათვის, აღიარებს იგი.

ყველაზე ხშირად ასეთი პაციენტები ჩამოდიან თბილისში უკიდურეს შემთხვევებში, ამბობს მარინა გელანტია:

**„აქ ძირითადად ჩამოდიან პაციენტები, რომლებმაც მოიარეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქები, მანამდე იყვნენ აფხაზეთის კლინიკებშიც. როდესაც ისინი ვერ ღებულობენ სასურველ შედეგებს, ვერ უმჯობესდებიან, ისინი იმედით ჩამოდიან საქართველოში. მინდა, აღვნიშნო, რომ აფხაზეთიდან ჩამოსული პაციენტები და მათი თანმხლები პირები არასოდეს დავობენ პოლიტიკის შესახებ ან ყოველივე მომხდარის გამო. ყველაზე ხშირად ჩვენ გვექმნება ისეთი დამოკიდებულება, რომ მეც კი ვივიწყებ ხოლმე ყველაფერს, რაც მოხდა წარსულში და რაც მე გადავიტანე“.**

ბევრი პაციენტი, რომლებმაც მკურნალობაც ვერ დაასრულეს, ყოველმხრივ ამყარებენ კონტაქტებს ექიმებთან. ისინი ტოვებენ გამოხმაურებასაც სპეციალურ რვეულში. ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის ქირურგიული სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ტუზბაიამ ჩვენი გაზეთის გადამღებ ჯგუფს აჩვენა ერთ-ერთი ასეთი წერილი:

**„აი ერთი წერილი: „ბედისწერამ ღუდუშაურის სახელობის კლინიკასთან მიმიყვანა. მე აქ ჩამოვიყვანე უიმედო ავადმყოფი დედა, და ის ადამიანები, ვინც მე აქ შემხვდა ასეთი ალერსით, — თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტები არიან. ჩვენ დიდხანს ვიტანჯებოდით, გამოკვლევებს გავდიოდით რუსეთის სხვადასხვა კლინიკაში. მაგრამ სწორი დიაგნოზი ჩვენ დაგვისვეს მხოლოდ ამ კლინიკაში. ვულოცავ კლინიკის ყველა მუშაკს დედის დღეს. დაე თქვენი დედები იყვნენ ჯანმრთელები და ბედნიერები თქვენთან ერთად და თქვენ შვილებთან ერთად. უზარმაზარი მადლობა მთელ სამედიცინო პერსონალს“.**

თურმე, ამ კლინიკაში მუშაობს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოცდაათზე მეტი სპეციალისტი. მათ შორისაა პროფესორ რევაზ სულუხიაც.

**„მე ვმუშაობდი გულრიფშის სამშობიარო სახლში 70-იან, 80-იან წლებში, 93 წლამდე ვიყავი ქალაქ სოხუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი. მართალია, ეს იყო ქალაქის სამშობიარო სახლიც, მაგრამ იგი ემსახურებოდა მთელ აფხაზეთს. მამაჩემიც ერთხანს იყო გუდაუთის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, შემდეგ გულრიფშშიც მუშაობდა. ჩემი ძმა იყო აფხაზეთის მთავარი ფსიქიატრი“.**

არ არის გასაოცარი, რომ გამონახოს საერთო ენა პაციენტებთან აფხაზეთიდან, ჩვეულებრივად ადვილად გამოსდის სამედიცინო პერსონალს, ამბობს რევაზ სულუხია, საკმარისია მხოლოდ დაილაპარაკო საერთო ნაცნობებსა და მეგობრებზე.

უკანასკნელ წლებში კლინიკაში ასეთი პაციენტები ძალიან ბევრი არაა, მაგრამ მათი რიცხვი გაიზარდა უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში. თავისი ვარაუდი, თუ რატომ ხდება ეს ასე, ჩვენთან საუბარში გამოთქვა მარინა გელანტიამ:

**„ეს არის ხალხი, რომელსაც ჩამოუყალიბდა გარკვეული აზრი საქართველოს შესახებ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებლებზე (ეს ტერიტორიები საქართველოს ხელისუფლებას ექვემდებარება). არის შიშის ფაქტორი, როგორც, პრინციპულად, ადგილობრივ მცხოვრებლებშიც, რომლებიც შეზღუდული არიან შესაძლებლობით — გადაადგილდნენ მათ ტერიტორიაზე. აი, მაგალითად, მას შემდეგ, რაც პაციენტები აფხაზეთიდან ჩვენთან ხვდებიან, ხედავენ მთელ ამ ზრუნვას, აქედან მიემგზავრებიან კმაყოფილები. ცდილობენ, კიდევ უფრო დაგვიახლოვდნენ ჩვენ. ერთი პაციენტი ათჯერ ზრდის იმ ადამიანთა ოდენობას, რომლებსაც სურთ ჩამოვიდნენ საქართველოს კონტროლქვეშ ყოფილ ტერიტორიაზე. ეს არის პატარა, მაგრამ მაინც შესაძლებლობა — გამოვიყენოთ სამოქალაქო დიპლომატიის ეს სფერო იმისათვის, რომ შევარიგოთ ჩვენი ხალხები, ჩვენი მეზობლები, თანაკურსელები, თანამშრომლები, ადამიანები, ვისაც აერთიანებდა საერთო უბედურება და რომლებსაც ერთი ბედნიერება უხაროდათ.“**

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com



### ბრიტანეთში გუშინ მოეწყო რეფერენდუმი ქვეყნის ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხზე

მოედანი კენჭისყრისათვის გაიხსნა დილის 7 საათზე და იმუშავა 22 საათამდე. ეს ამჟამინდელი რეფერენდუმი გახდა მესამე საერთო-ეროვნული ღონისძიება შეერთებული სამეფოს ისტორიაში. ეგზიტპოლები რეფერენდუმზე არ იქნება. საბოლოო შედეგი ცნობილი უნდა გახდეს დღეს, 24 ივნისს.

### ვენესუელის პრეზიდენტმა მადურომ განაცხადა აშშ-სთან დიალოგის დაწყების შესახებ

მადურო კარაკასში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილეს პოლიტიკურ საკითხებში თომას შენონს. ვენესუელის ლიდერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფების გამო — „ჩაერიოს ვენესუელის საშინაო საქმეებში“ — ეს რთული ამოცანა იქნება.

### საფრანგეთი „ამუხრუჭებს“ ანტირუსული სანქციების გაგრძელებას, ამტკიცებს „უკრინფორმის“ წყარო

რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელების საკითხი არ შესულა ევროკავშირის საბჭოს სხდომის დღის

## დედამიწის ზურგზე

წესრიგში, რომელიც 24 ივნისისთვისაა დანიშნული, საფრანგეთის პოზიციის გამო, იტყობინება „უკრინფორმი“ ევროკავშირის მაღალი რანგის დიპლომატზე მითითებით. მიზეზი ისაა, რომ პარიზმა შეიძლება ვერ მოასწროს შეათანხმოს ეს გადაწყვეტილება პარლამენტში.

### თვითმფრინავმა SOLAR IMPULSE 2-მა, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს, გადაკვეთა ატლანტიკა და ესპანეთში დაეშვა დედამიწაზე

ამ თვითმფრინავის გადაფრენა ნიუ-იორკიდან ევროპაში დაახლოებით სამი დღე-ღამე მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში თვითმფრინავი, რომლის საჭესაც შვეიცარიელი პილოტი ბერტრან ტიკარი მართავდა, დაძლია



თითქმის 6,3 ათასი კილომეტრი. საბოლოო მიზანი აბუ-დაბია, საიდანაც შარშან თვითმფრინავი გაემგზავრა დედამიწის გარშემო საფრენად.

### თურქეთი არ აპირებს შეასრულოს პუტინის პირობები და ბოდიში მოუხადოს რუსეთს ჩამოგდებული თვითმფრინავისთვის

„ბოდიშის მოხდასა და კომპენსაციაზე საუბარი არ მიდის“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იბრაჰიმ კალინმა. მან აღიარა, რომ სუ-24-თან დაკავშირებულმა ინციდენტმა მოახდინა მოსკოვთან ურთიერთობის დაძაბულობის პროვოცირება, და ეს არც ერთი ქვეყნისათვის სასარგებლო არაა. შექმნილ სიტუაციაში „იტანჯებიან უბრალო ადამიანები“.

### კიმ ჩენ ინმა განაცხადა ამერიკელებისათვის „რეალური დარტყმის“ შესაძლებლობის შესახებ

სამხრეთი კორეის სააგენტო Yonhap, ჩრდილოეთი კორეის ცენტრალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მითითებით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ რაკეტის გამოცდას წინა დღით კიმ ჩენ ინი პირადად ესწრებოდა. ერთ-ერთმა რაკეტამ გადალახა იაპონიამდე მანძილის ნახევარზე მეტი, სადაც ამერიკული სამხედრო ბაზები იმყოფება.

### გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთი კორეის რაკეტების გაშვებას რეზოლუციის დარღვევა უწოდა

გამოცდები მიჩნეულია უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევად, ყველა ქვეყანა ერთი აზრისა იყო, განუცხადა ჟურნალისტებს გაეროსთან საფრანგეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსის ლამეკმა. თათბირი, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, მოწვეული იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ინიციატივით.



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)
**კრედიტის/სესხის** IDA5245-GE; IBRD 8263-GE
**პროექტის** P130413

**დავალების სახელწოდება:** საავტომობილო გზების დეპარტამენტის მენეჯმენტის და ტექნიკური საჭიროებების შეფასება და ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამის განვითარება

**კონტრაქტის RFE No:** EWHIP-4/CS/ICS-08
**საიდენტიფიკაციო No:** EWHIP-4 PP, კომპონენტი 2, პუნქტი No.13

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს გამოცდილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: ”საავტომობილო გზების დეპარტამენტის მენეჯმენტის და ტექნიკური საჭიროებების შეფასება და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის განვითარება”.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 თვე.

კონსულტანტი მოსალოდნელია, რომ შეაფასებს საგზაო დეპარტამენტის მანეჯმენტის და ტექნიკურ საჭიროებებს, მოახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სისტემურ მიდგომას კონკრეტულ ეტაპებად, ასევე შექმნის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამას, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას როგორც საგზაო დეპარტამენტის უმთავრეს პრიორიტეტს რომ განახორციელოს აუთსორსინგი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

• გამოცდილება საგზაო უწყებებისთვის ტექნიკური, ფინანსური და მენეჯმენტის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის მომზადება კონკრეტულად საჭიროებების შეფასება, სექტორის ინსტიტუციური განვითარების და მსგავსი საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა.

• ინგლისური ენის პროფესიონალური ცოდნა (მეტყველების და წერის უნარი) სავალდებულოა;

• ცოდნა და წინა მუშაობის გამოცდილება რეგიონში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და რუსული ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;

***შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.***

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – “მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, შესწორებული 2014 წლის ივლისში “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს” კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალი კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებაში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც მოცემულია ნაწილი V: “ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა” მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო: კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება, მსოფლიო ბანკის მსესხებელთა მიერ (2011 წლის იანვარი, შესწორებული 2014 წლის ივლისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 8 ივლისის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: მაია ქალიაშვილი

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**
**Forth East-West Highway Improvement Project**
**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
Project No. P130413
**Assignment Title: Management and Technical Needs Assessment and Development of a Capacity Strengthening Program of the Roads Department**
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/ICS-08
Reference No.: EWHIP-4 PP, Component 2, Item No.13

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible Individual Consultants to express their interest in providing the following services: **“Management and technical needs assessment and development of a capacity strengthening program of the Roads Department”.**

The estimated duration of assignment is 1 month.

The Consultant is expected to carry out RD’s technical, financial and management needs assessments, identify gaps and develop systematic approach that progresses through a defined series of phase as well as elaborate priority capacity strengthening program with a particular focus on financial management capacity building as one of the main priorities in order to enable the Roads department to handle currently outsourced activities.

**Required experience and qualification:**

- Experience in developing technical, financial and management capacity program for Public Agencies with a particular expertise in needs assessment, knowledge of institutional development in the sector, and familiarity with similar international experiences;
- Professional knowledge of English language (oral and writing skills) is mandatory;
- Knowledge and previous experience in region (Georgia, Armenia, Azerbaijan) and proficiency in Russian language would be advantageous;

***Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.***

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: “Selection of Individual Consultants” of the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (January 2011, revised July 2014).

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **July 8, 2016, 17:00 hours.**

Name: Maia Kaliashvili

Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge


დედაქალაქი

# პუშკინის ქუჩის „სამშენებლო“ ზაფხული



თბილისის ცენტრალური ნაწილის მოჭარბებული ტრანსპორტის ნაკადის განსატვირთავად, აგერ უკვე მერამდენე თვეა, თავისუფლებისა და ორბელიანის მოედნების შემაკავშირებელი პუშკინის ქუჩის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

სადღეისოდ, აქ გასამართი ესტაკადა უკვე მზადაა, ზედ ასფალტის საფარი გადაიგო, ორივე მხარეს ფეხით მოსიარულეთა გზის სავალი ნაწილისგან გამმიჯნავი რკინის მოაჯირები დამონტაჟდა, დაიგო წყალარინების სისტემა. სადღეისოდ კეთდება ბაზალტის ბორდიურები, ტროტუარებზე ფილები იგება, მიმდინარეობს სხვა სახის კეთილმოწყობილი სამუშაოები, რის შემდეგ იქაურობა მწვანე ნარგავებითაც შეიმოსება.

**ნინო ალექსანდრია.**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო



საქმე №1/39-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 16 ივნისი 2016 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI“**

**საარბიტრაჟო მოპასუხე: მანანა ტუხაშვილი, გურამ კორაშვილი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 19 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI"-ს სარჩელი მოპასუხე მანანა ტუხაშვილისა და გურამ კორაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 3 სექტემბერს შპს „KAPI"-სა და მანანა ტუხაშვილს შორის დაიდო №1.18.79 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისა და №1.18.79-1 გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI"-მ მსესხებელზე გასცა 4150 ლარის ოდენობით სესხი, ყოველდღიური 0.2 საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 02.10.2013წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ძირი თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2013 წლის 3 სექტემბერს ერთის მხრივ, შპს „KAPI"-სა და მეორეს მხრივ, გურამ კორაშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მანანა ტუხაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გურამ კორაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მანანა ტუხაშვილსა და გურამ კორაშვილს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მანანა ტუხაშვილი და გურამ კორაშვილი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობენ, ხოლო მათი სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მანანა ტუხაშვილსა (პ/ნ 40001025218) და გურამ კორაშვილს (პ/ნ 01005017184) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მანანა ტუხაშვილისა და გურამ კორაშვილის მიმართ.

2. მანანა ტუხაშვილსა და გურამ კორაშვილს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მანანა ტუხაშვილსა და გურამ კორაშვილს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 22 ივლისს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „KAPI"-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მანანა ტუხაშვილისა და გურამ კორაშვილის მიმართ.

5. მანანა ტუხაშვილსა და გურამ კორაშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

---

საქმე №1/41-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 16 ივნისი 2016 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI“**

**საარბიტრაჟო მოპასუხე: ბესიკ ბალავაძე**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 20 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI"-ს სარჩელი მოპასუხე ბესიკ ბალავაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 28 თებერვალს შპს „KAPI"-სა და ბესიკ ბალავაძეს შორის დაიდო №102495 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI"-მ მსესხებელზე გასცა 1700 ლარის ოდენობით სესხი, ყოველთვიური 5.5 საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 1 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილებული თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ბესიკ ბალავაძეს ორჯერ გაეგზავნა მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო. მოპასუხის ოჯახის წევრმა, დედამ უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ბესიკ ბალავაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ბესიკ ბალავაძე მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ბესიკ ბალავაძეს (პ/ნ 01001064849) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ბესიკ ბალავაძის მიმართ.

10. ბესიკ ბალავაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ბესიკ ბალავაძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 22 ივლისს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „KAPI"-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ბესიკ ბალავაძის მიმართ.

13. ბესიკ ბალავაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**წინ, საქართველო!**

# „კლასიკოსთა“ რუმინული ტრიუმფი

**რვა წონიდან 6 მედალი: 3 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“ და 1 „ბრინჯაო“ — ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს ახალგაზრდა „კლასიკოსთა“ ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი ზაზა სილაგაძე) 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელსაც ბუქარესტმა უმასპინძლა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენმა ბიჭებმა გუნდურში პირველი ადგილი დაიკავეს.**

უკვე ვწერდით, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა ასპარეზობის პირველ დღეს ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. მეორე დღეს მათ მონაგარი სამი მედლით გაიმდიდრეს: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ რამაზ ზოიძე (66) და ზვიად პატარიძე (120), ხოლო დავით ჩხარტიშვილი (55) მესამე ადგილს დასჯერდა.



ხელვაჩაურელი ზოიძე მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია. რუმინულ ხალიჩაზე მან პირველ წრეში თურქი ევროპის ჩემპიონი მურატ ფირატი დაამარცხა (8:1), შემდეგ რუმინელ კლაუდიო ემანუელ პაპს (11:3) აჯობა, რუს გლებ ბატიანინს 5:5-ზე ბოლო ქულის უპირატესობით სძლია, ნახევარფინალში ბულგარელი დავიდ ტიხომიროვ დიმიტროვი ჩამოიშორა გზიდან (8:0), გადამწყვეტ პაექრობაში კი უკრაინელ ფარვინ ნასიბოვს წარმატების იოტისოდენი შანსიც კი არ დაუტოვა - 10:0,

ზედიზედ მესამე სეზონია, ქუთაისელ პატარიძეს ჯერ ჭაბუკებში, მერე კი ახალგაზრდებში ევროპა-მსოფლიოზე შეხვედრა არ წაუგია, კარპატისპირეთშიც ქულის დაუკარგავად გაიმარჯვა. ქართველმა ფალავანმა ზედიზედ დაამარცხა მასპინძელი ლეონარდ იშტვან ბერეი (9:0), პოლონელი რაფალ პლოვიჩი (5:0), თურქთა ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი ოსმან ილდირიმი (5:0), რუსეთელი ნიკოლაი ისმაილოვი (5:0) და პირველი ადგილი დაიკავა.

ჩხარტიშვილი გუნდის დებიუტანტია. მან საკვალიფიკაციოში პოლონელ იაკუბ თადეუშ ჩიგლინსკის წმინდად მოუგო (9:0), მაგრამ მერე აზერბაიჯანელთა ევროპის შარშანდელ ჩემპიონ ნოფალ ბაბაევთან ფრედ დაასრულა შეხვედრა (5:5). ბოლო ქულის წყალობით ბაბაევმა გაიმარჯვა. სანუგეშოში ჩხარტიშვილმა თურქი ერკემ სულეიმან ოზთურქი (12:5) და რუმინელი თეოდორ ჰორათაუ (9:1) დაჯაბნა და „ბრინჯაო“ მოიპოვა.

25-26 ივნისს ბუქარესტში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

**ლაშა დიდია.**

**სურათზე: რამაზ ზოიძე ასპარეზობისას.**

**ევრო-2016**

# ეს ანტრაქტია დიდი ფორუმის

**მაშ ასე, ცხელი საფეხბურთო ზაფხული გრძელდება. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, დამთავრდა გენერალური რეპეტიცია — ჯგუფური რაუნდი და იწყება საპრემიერო წარმოდგენები — პლეი-ოფები.**

როგორც ყოველთვის, პირველმა ეტაპმა ნახევარი ძალით თამაშიც დაიტია, სენსაციებიც და, ცოტა არ იყოს, ბინძური შეხვედრებიც. სხვათა შორის, უჩვეულო ფაქტია, რომ აქამდე დანიშნული 6 პენალტიდან მხოლოდ 3, ანუ ზუსტად ნახევარი დასრულდა გოლით, ბომბარდირთა დავაში კი 3-3 გატანილი ბურთით ესპანელი ალვარო მორატა და უელსელი გარეთ ბეილი დაწინაურდნენ.

მოკლედ, მოთელვა დასრულებულია, წინ ნაღდი ფეხბურთი გველოდება.

### მერვედფინალები

**25 ივნისი**

**შვეიცარია — პოლონეთი.** 17 სთ. სენტ ეტიენი.
**უელსი — ჩრდილოეთ ირლანდია.** 20 სთ. პარიზი.
**ხორვატეთი — პორტუგალია**. 23 სთ. ლანსი.

**26 ივნისი**

**საფრანგეთი — ირლანდია.** 17 სთ. ლიონი.
**გერმანია — სლოვაკეთი.** 20 სთ. ლილი.
**უნგრეთი — ბელგია.** 23 სთ. ტულუზა.

**27 ივნისი**

**იტალია — ესპანეთი.** 20 სთ. პარიზი.
**ინგლისი — ისლანდია.** 23 სთ. ნიცა.

**გიორგი შოთაძე**

**ვითარება**

# დიდი ვნებათაღელვა

**რიოს ოლიმპიური თამაშების წინ საერთაშორისო სპორტში ძალზე მნიშვნელოვანი ამბები ხდება, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სპორტსმენების შესაძლო დისკვალიფიკაციას უკავშირდება.**

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) საბჭომ უკვე მიიღო ერთსულოვანი უარყოფითი გადაწყვეტილება რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციისთვის IAAF-ის წევრის სტატუსის აღდგენის და რუსი სპორტსმენების 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დაშვების თაობაზე.



IAAF-ის პრეზიდენტმა სებასტიან კოემ განაცხადა, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, რუსულმა მხარემ არ შეასრულა დოპინგის მასობრივი გამოყენების აღმოსაფხვრელად ნაკისრი ძირითადი ვალდებულებები და ქვეყანაში კვლავ მოქმედებს სადოპინგო სისტემა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს თითოეული რუსი მძლეოსნის კეთილსინდისიერებას.

„ჩვენ მივიღეთ მძიმე, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილება, რომელიც, კრიტიკოსების აზრით, თითქოსდა უსამართლოა „სუფთა“ სპორტსმენების მიმართ. მე მინდა ძალიან ნათლად განვმარტო ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ ის სისტემა, რომლის მიერ დამკვიდრებული წესებით და კულტურით ასპარეზობენ რუსი სპორტსმენები.

ეს არის გაფუჭებული სისტემა და ჩრდილს აყენებს თითოეულ ათლეტს, რადგანაც ისინი ამ სისტემის ნაწილს წარმოადგენენ. დამოუკიდებელმა საინსპექციო ჯგუფმა მოამზადა დასკვნა, რომელიც რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ რუსეთში მოქმედი სისტემა არ აღიარებს სპორტში მოქმედ უმთავრეს პრინციპს — სპორტსმენების დაცვას, კონკურენციისთვის უსაფრთხო და „სუფთა“ გარემოს შექმნას“, — აცხადებს სებასტიან კოე.

IAAF-მა თავისი მკაცრი ვერდიქტი უკვე გამოიტანა, ახლა კი მთელი სპორტული სამყარო დიდი ინტერესით ელოდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) საბოლოო გადაწყვეტილებას. სოკ-ი ჟენევაში მართავს საგანგებო სხდომას, სადაც იმსჯელებენ ოლიმპიადაზე რუსეთის მთლიანი სპორტული დელეგაციის, ასევე სოკ-ის დროშის ქვეშ ცალკეული სპორტსმენების დაშვება-არდაშვების საკითხზე.

სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო დაუყოვნებლივ გამოეხმაურა IAAF-ის გადაწყვეტილებას და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა დოპინგთან პრინციპულ ბრძოლაში: "სოკ-ი მიესალმება და მხარს უჭერს IAAF-ის ძლიერ პოზიციას დოპინგთან ბრძოლის საქმეში. ის თანხვედრაშია ჩვენს მიერ დეკლარირებულ პოზიციასთან, რაც გულისხმობს დოპინგის მიმართ ნულოვან ტოლერანტობას.

კომიტეტმა ცნობად მიიღო IAAF-ის გადაწყვეტილება, სამუშაო ჯგუფის მოხსენება და რეკომენდაციები. სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო მთლიანად იზიარებს IAAF-ის პოზიციას. ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენთა შერჩევის კრიტერიუმს განსაზღვრავს თავად შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია“, — ნათქვამია სოკ-ის პრესრელიზში.

**ბადრი იაშვილი**

**სიახლე**

# საბრძოლო ნათლობაზე — ცისქვეშეთში

**პირველად ქართული კალათბურთის ისტორიაში ვაჟ კალათბურთელთა „ბ“ ნაკრები შეიქმნა, რომელიც იმ მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც სეზონი კარგად ჩაატარეს, მაგრამ ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი ვერ მოხვდნენ. „ბ“ ნაკრებში თამაშით მათ კიდევ ეძლევათ შანსი, რომ ეროვნულ ნაკრებში მოიპოვონ ადგილი.**

**ამ ნაკრებს გამოცდილი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი უხელმძღვანელებს, რომელიც პარალელურად საქართველოს XXV ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელ „ბათუმის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობს. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ მასთან საუბარი.**



**— „ბ“ ნაკრებით დავიწყოთ. ვინც გამოიძახეთ, ყველა გამოცხადდა?**

— კი, ყველა გამოცხადდა.

**— ცნობილია, რომ ნაკრები პირველ შეხვედრებს ჩინეთში ჩაატარებს, სადაც მისი მეტოქეები ჩინეთის „ბ“, პოლონეთის „ბ“ და რუმინეთის „ა“ ნაკრები იქნებიან. მოკლედ გვიამბეთ ამ ასპარეზობის შესახებ.**

— ჩინეთში ივლისის დასაწყისში გავემგზავრებით. აღნიშნულ გუნდებთან სამ ქალაქში ვითამაშებთ. მთლიანობაში 9 შეხვედრას ჩავატარებთ.

**— ჩინეთში რამდენი კალათბურთელით მიემგზავრებით?**

— შეკრებაზე 16 კალათბურთელი გამოვიძახეთ. ესენი არიან: რევაზ როგავა („ოლიმპი“), გივი ბაქრაძე („სოხუმი“), ირაკლი მიქელაძე („ბათუმი“), მერაბ ბოქოლიშვილი („აკადემია“), ბექა წივწივაძე („ვითა“),ნოდარ გოგოძე („დინამო“), კახა ჯინჭარაძე („მგზავრები-არმია“), გიორგი ორმოცაძე („მგზავრები-არმია“), კახა ტომარაძე („ოლიმპი“), გრიგოლ შვანგირაძე („დინამო“), ირაკლი ჩლაიძე („ვითა“), ბექა ბექაური („ქუთაისი — 2010“), აკაკი დვალიშვილი („ბათუმი“) , გეგი ბაქრაძე („ ოლიმპი“), რიჩარდ მათიაშვილი („ქუთაისი — 2010“), გიორგი ჯგერენაია („სოხუმი“). აქედან ჩინეთში 12-13 კალათბურთელს წავიყვანთ.

**— საქართველოშიც თუ იგეგმება თქვენი ნაკრების მიერ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩატარება?**

— სამომავლო გეგმების შესახებ ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— ახლა, „ბათუმზეც“ ვთქვათ. კმაყოფილი ხართ გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგით?**

— რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ „ბათუმი“ ერთ-ერთი სინჯის მედლის მფლობელი გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკეთ გამოსვლაც შეიძლებოდა. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ვლიდერობდით, მაგრამ ბოლო ტურში მომავალ ჩემპიონ „ქუთაისი 2010“-ს მივეცით წამოწევის შანსი, რომელსაც ჩვენთან უკეთესი შეფარდება ჰქონდა და მეორე ადგილზე აღმოვჩნდით. რეგულარულში პირველ ადგილზე რომ გავსულიყავით, მინიმუმ ვერცხლის მედლებს მოვიპოვებდით.

**— პლეი-ოფში თქვენი მეტოქე „დინამო“ იყო. პირველ ადგილზე რომ გასულიყავით, „სოხუმს“ შეხვდებოდით. ესე იგი, თქვენ თვლით, რომ „სოხუმის“ წინააღმდეგობას დაძლევდით?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ „სოხუმთან“ თამაში არ გვიჭირს, არც ნახევარფინალურ სერიაში გამარჯვება გაგვიჭირდებოდა.

**— თქვენ „სოხუმთან“ თასის ნახევარფინალში დამარცხდით და ასპარეზობას გამოეთიშეთ. ამას რით ახსნით?**

— მაშინ რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გვაკლდა და ჩვენი დამარცხებაც ამით შეიძლება აიხსნას.

**— ბათუმელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— ყველამ კარგად ითამაშა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომელიმე მათგანის გამორჩევისაგან თავს შევიკავებ.

**— XXV ეროვნული ჩემპიონატი წინამორბედებისგან განსხვავებით გამორჩეული სისტემით ჩატარდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ორის ნაცვლად 4 წრე გაიმართა. თქვენი აზრით, ამ სისტემამ გაამართლა?**

— ტერიტორიული მდებარეობიდან გამომდინარე, მგზავრობის დროს ყველაზე მეტი თანხა ჩვენ დაგვეხარჯა. ამის მიუხედავად, ახალი სისტემით კმაყოფილი ვარ, რადგან კალათბურთელებს შედარებით მეტი თამაშების ჩატარება მოუწიათ და მუდამ სათანადო კონდიციებში იყვნენ.

**— ახალ 2016-2017 წლების სეზონშიც „ბათუმში“ იმუშავებთ?**

— ჯერჯერობით „ბ“ ნაკრებით ვარ დაკავებული. რაც შეეხება „ბათუმში“ დარჩენას, ამ თემაზე გუნდის ხელმძღვანელობასთან საუბარი ჯერ არ მქონია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# ქართული ტელევიზორი SAMSUNG-ის პროდუქციის კონკურენტია

**რამდენიმე კვირის წინ ბაზარზე ქართული წარმოების ტელევიზორი გამოჩნდა. რუსთავში მდებარე ქარხანა AG Telekom-მა პროდუქციის გაყიდვა 1 ივნისიდან დაიწყო. „კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორ მიიღო ქართველმა მომხმარებელმა ადგილობრივი წარმოების ტექნიკა და გამართლდა თუ არა კომპანიის მენეჯმენტის პროგნოზი მსოფლიო ბრენდ Samsung-თან კონკურენციის გაწევასთან დაკავშირებით?**



ქარხანა AG Telekom-ის ხელმძღვანელი მიხეილ ღლონტი აცხადებს, რომ 1 ივნისიდან დღემდე საშუალოდ 150 ერთეული ტელევიზორი გაიყიდა, ეს კი, მისი თქმით, ის მაჩვენებელია, რისი პროგნოზიც კომპანიის მენეჯმენტის მიერ წარმოების დაწყებისას კეთდებოდა. კომპანიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ სამომავლოდ რეალიზაციის მაჩვენებელი გაიზრდება. რაც შეეხება Samsung-თან კონკურენციას, ღლონტის თქმით, ქართულმა ტელევიზორმა შეძლო მსოფლიო ბრენდთან კონკურენციის გაწევა. ამის თქმის საფუძველი კი ქართველი მომხმარებლების მხრიდან ქართულ ტელევიზორზე არსებული დიდი მოთხოვნაა.

„ხარისხით Samsung-ს ნამდვილად ვუწევთ კონკურენციას“ — აცხადებს ღლონტი. მისი ინფორმაციით, ამ დროისთვის ქართული ტელევიზორები „გორგიასა“ და, „მეტრომარტში“ იყიდება. დაახლოებით 1 კვირაში კი ადგილობრივი პროდუქცია „ალტაოქეის“ და „მეგატექნიკის“ ქსელშიც გამოჩნდება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები „სმაილთან“. რაც შეეხება გასაყიდ ღირებულებას, ღლონტის განცხადებით, ყველა ქსელს თავისი ფასი აქვს, მაგალითად, „გორგიაში“ 32-ინჩიანი ტელევიზორი 479 ლარად იყიდება, 40-ინჩიანის ფასი კი 699 ლარია.

ღლონტი ამბობს, რომ მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაგეგმილია ტელევიზორების ასორტიმენტის გაზრდა, რაც 50-ინჩიანი და სმარტ ტელევიზორების (ანდროიდ ტელევიზორები) გამოშვებაში გამოიხატება. მიხეილ ღლონტი ამბობს, რომ ქართული ტელევიზორები უახლოეს მომავალში ექსპორტზეც გავა. კერძოდ, წლის ბოლომდე დაგეგმილია აზერბაიჯანში საცდელი პარტიის (200 ცალი) გაგზავნა. ექსპორტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ლატვიასთანაც. გარდა ტელევიზორისა, ქარხანას სხვა გეგმებიც ჰქონდა. მიმდინარე წლის მაისში მიხეილ ღლონტი აცხადებდა, რომ AG Telekom ქართული მობილური ტელეფონის გამოშვებასაც აპირებდა თუმცა, აღნიშნავდა, რომ ეს შესაძლოა, შორეული პერსპექტივა ყოფილიყო. ღლონტი დღეს ამბობს, რომ მობილურების გამოშვების პროექტი კომპანიამ ამ ეტაპისთვის შეაჩერა, რადგან პრიორიტეტი ტელევიზორების ასორტიმენტის გაზრდას მიენიჭა.

# ახალი შუქნიშნები სააკაძის მოედანზე

**თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური სააკაძის მოედნის რეკონსტრუქციას იწყებს, — ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს. „მოედანზე მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, დამონტაჟდება შუქნიშნები და განახლდება საგზაო მონიშვნები, რაც გაზრდის ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობას და მოძრაობა მეტად უსაფრთხო გახდება. მოედნის რეკონსტრუქცია გერმანული საკონსულტაციო კომპანია „A+S“-ის მიერ, 2016 წლის დასაწყისში თბილისის მასშტაბით ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიმდინარეობს.**

**„A+S“-მა დედაქალაქის უბნებსა და ცალკეულ ლოკაციებში შეისწავლა როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის ნაკადების ინტენსივობა. პრობლემები გაანალიზდა პიკის საათების გათვალისწინებით და მათი გადაჭრის გზების ძიება მოხდა სიმულაციებისა და მოდელირებების საშუალებით.**



**სპეციალისტების დასკვნით, სააკაძის მოედნის რეკონსტრუქციის შედეგად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის გამტარიანობა მინიმუმ 8-10%-ით გაიზრდება“, — ნათქვამია განცხადებაში.**

# ქართული მონეტების ოქროს კოლექციის პრეზენტაცია

**გუშინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში უნიკალური პროექტის, „ქართული მონეტების ოქროს კოლექცია“ პრეზენტაცია გაიმართა.**

**პროექტი ყველა ადამიანს აძლევს საშუალებას, გახდეს წიგნი-ალბომის მფლობელი და თვეში ერთხელ პირად კოლექციას თითო მონეტა შემატოს. წიგნ-ალბომში საგანგებოდაა გამოყოფილი ადგილები, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მონეტების ასლებით ივსება. ალბომს მოჰყვება სპეციალური ლუპა.**

**24 განსხვავებული მონეტა საქართველოს ისტორიას ქრონოლოგიურად გვიამბობს.**

**სტუმრებს ექნებათ შესაძლებლობა, მოინახულონ ნუმიზმატიკური საგანძურის გამოფენა, რომელიც სპეციალურად ღონისძიების ფარგლებში გაიხსნება.**

**თითოეული სტუმარი საჩუქრად მიიღებს პირველი მონეტის ასლს. სამომავლოდ კი ერთგულ მომხმარებელს, რომელიც უნიკალური კოლექციის შეგროვებას გააგრძელებს, ექნება შანსი, გახდეს ნამდვილი ოქროს მონეტის მფლობელი. პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, „გამომცემლობა პალიტრა L“-ისა და „კვირის პალიტრის“ მიერ. წიგნ-ალბომზე მუშაობდა ნუმიზმატთა და ისტორიკოსთა გუნდი.**

# ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე პეკინში

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე „საქართველო — ღვინის სამშობლო, მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“ აღინიშნა.**

**ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. ჩინელ და ქართველ დელეგატებთან ერთად ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური და ქართული ღვინის წარმომადგენელი ჩინეთში მაია ცქიტიშვილი.**

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, სტუმრებს შორის იყვნენ პეკინის წამყვანი უნივერსიტეტების (Peking University7 Renmin University და სხვა), ღვინის ინდუსტრიის, ხელოვნების სფეროს, ღვინის სპეციალიზირებული და სხვა მედია საშუალებების წარმომადგენლები.**

**სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის კომპანიების („თელედა“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „კახური ღვინის მარანი“, „შალვინო“, „ტიფლისკი ვინნი პოგრები“, „მეღვინეობა ხარება“ და „თელავის ღვინის მარანი“) 30 სახეობის 100-მდე ბოთლი ღვინო. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ჩინეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკე-მხატვრის ალექსანდრე გელაშვილის შემოქმედებას. ღონისძიება ჩინური და ქართული ფოლკლორითა და ცეკვებით წარიმართა, რომელიც ქართული და ჩინური კერძებისა და ქართული ღვინის დაგემოვნებით დასრულდა. მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით ჩინეთში ექსპორტირებულია 1 242 523 ბოთლი ღვინო, რაც 106%-ით აღემატება გასულის წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

## ◎ სულთათანა

# „მშვიდობით, არა, ნახვამდის“

## თამაზ ცინცაძის უკვდავება

მამულიშვილურ საქმეს შეეჭიდა ბატონი ანზორ ბაბუხადია საზოგადოებრივ საინფორმაციო გაზეთ **„თანადგომის“** გამოცემით — იხსენებს იმ ჭეშმარიტ თანამემამულეებს, რომლებმაც სიცოცხლეში წარუშლელი კვალი დატოვეს თავიანთი ღვაწლითა და შემოქმედებით და იმქვეყნიურ საქართველოში გადასვლით, რომელსაც უკვდავი გალაკტიონი — სიკვდილის გზა არრა არის ვარდიფერ გზის გარდა... უწოდებს. რაოდენ დასაფასებელიცაა და იმავდროულად გულდასაწყვეტიც რომ გაზეთის ნომრები იზრდება ამქვეყნიდან წასული ჩვენი თანამოძმეების გარდაცვალების პროპორციულად.




ერთ ნაღდ თბილისელს, სამეგობროს ულამაზეს სამკაულს, ოჯახის უფროსს, მადლიან ქველმოქმედ კაცს მიეძღვნა ბოლო ნომერი „თანადგომისა“, ეს ულამაზესი პიროვნება **თამაზ ცინცაძე** გახლდათ. თვალზეცრემლმომდგარი და ყელში დარდის ბურთგაჩრილია ყველა ის მოგონება-წერილი, რომელიც დიდმა საძმომ დაავანა ამ გაზეთში გულიდან ამოსულ სტრიქონებად. **„მშვიდობით, არა, ნახვამდისო“** — ეთხოვება სიყრმის მეგობარს ჯანსულ ჩარკვიანი, ვის შევეხმიანო, ვის გავუზიარო გულის დარდებიო — წერს ავთო საყვარელიძე, ბატონი თამაზის ახალგაზრდობის წლებს, მის „კვარტეტელობას“, ბაფთიან გიტარასა და განუმეორებელ ხმას მისტირიან მისი ძმები გურამ ბაკურაძე, ივიკო საყვარელიძე, რევაზ თევზაძე, გია ჭირაქაძე და ამ დიდი საძმოს განუყრელი დაიკო მაცაცო სებისკვერაძე, მაგიდასთან აღარ იჯდა თამაზიო, დარდს ვერ მალავს ვილენ მარდალეიშვილი და იმ ლამაზ წუთებს იხსენებს თბილისის კოლორიტის ოთარ გაბელაშვილის ოჯახში აუშლელ სუფრასთან რომ ეფერებოდნენ ერთმანეთსა და მთელ თბილის-ქალაქს. რჩეულთა შორის რჩეულს ემშვიდობებიან ემზარ კვიტაშვილი და ედუარდ გერსამია. ჩვენც ვემშვიდობებით ნაღდ კაცს, რომელიც ორმოცი დღეა, ჩვენს შორის აღარაა და მარადიულ სასუფეველშია!..

**ავთანდილ ბექაური**

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილების წევრის, შესანიშნავი ისტორიკოსის**

## ქეთევან (ზაირა) მუშკუდიანის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# კანჯი-ოღლი აფხაზეთშია და დაკავებული არ არის

**19 მაისს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ხურჩაში საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული კანჯი-ოღლი ამ დროისთვის ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფება და დაკავებული არ არის.**



ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას განზრახ მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯი-ოღლის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

**„კანჯი-ოღლის მიმართ გამოტანილია დადგენილება კანჯი-ოღლისთვის აფხაზეთის სისხლის სამართლის კოდექსის განზრახ მკვლელობის მუხლით ბრალდებულის სახით პასუხისგებლობის დაკისრების თაობაზე. ამასთან, იგი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან უშიშროების სამსახურში“,** — იუწყება „აფსნიპრესი“.

მისივე ინფორმაციით, **„საგამოძიებო ორგანოს იმედი აქვს, რომ მიიღებს ბრალდების მტკიცებულებებს საქმის სასამართლოში გადასაგზავნად ოთხმხრივ კომისიაში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში გალში“.**

დე ფაქტო გენერალური პროკურატურა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **„რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, რაშიდ კანჯი-ოღლი არ არის ცნობილი დამნაშავედ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე“.**

როგორც „აქცენტს“ სოხუმიდან აცნობეს, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი კანჯი-ოღლის დაკავების მომხრეა, რადგან არ სურს, ამ საქმეს ვითარების შესაძლო ესკალაცია მოჰყვეს.

## ⦿ კაკალ გულში



# გვარამიას ბუწუწები ჯულიეტოვნამ დააწიწკნა

● ვაგზლებს ნოდარიკო მელაძე გადაკეტავს, ფოსტა-ტელეგრაფს დიკო ჯოჯუა აიღებს, ხიდებს — აკაკი გოგიჩაიშვილი.

მერე მთელი „რუსთავი-2“ გვარამიას მეთაურობით ფუნიკულიორზე ავა და იქიდან ნიაღვარივით წალეკავს თბილისს.

● გვარამიას ბუწუწები ჯულიეტოვნამ დააწიწკნა და თქვა: რასაც დაგპირდი, ბოლომდე შეგისრულებო!

● ვისაც არც ჟვანიას გაზით გაგუდვა არ გვჯერა და არც ეროსის თვითმკვლელობა, იმათმა რა ვქნათ? იარაღი დავირეგისტრიროთ თავის მოსაკლავად?

● ირაკლი ბათიაშვილის ტელეფონში ნათქვამი სიტყვა „გამაგრდი“ 8-წლიან თავისუფლების აღკვეთას ნიშნავს და ეთერიდან მოწოდებული გვარამიას და სხვა მსუბუქი ყოფაქცევის მამაკაცების სისხლიან აჯანყებაზე ქოთქოთი — დემოკრატიას?

● საჰაერო ტაქსი!?! .... მდაა!!!

კარგია, მაგრამ თუ ჰაერში მინდა გავაჩერო?.. როგორც „სამიწე“ ტაქსი... შტვენა, სიუ-ციუს ძახილით?!

თუმცა მე ჰაერში როგორ გავჩერდები?!

მოკლედ, დასახვეწია ეს „საჰაერო ტაქსი“, ნუ აჩქარდებით, იმუშავეთ და აუცილებლად „მოგხედავენ“!

● ძალიან კარგი სამედიცინო დაზღვევაა დღეს გადაუდებელი შემთხვევებისთვის!

● ეს მთავრობა არის „ბრიყვი“:

ცხონებული კიწმარიშვილის საქმე უნდა შეეკერათ ვინმესთვის და შეეტენათ... თუ ნაცებს შეტენიდნენ, მით უკეთესი... მერე უნდა დაეჭირათ ეს კაცი და ჩაეგდოთ ციხეში, 20 წლით... ვერაფერი წინა მთავრობისგან ამათ ვერ ისწავლეს. გამოდგნენ და — თავი მოიკლაო...

რა თავი მოიკლა, დაიჭირეთ ვინმე და ჩასვით! დასაჭერი ხომ კიდევ ბევრია...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

## ⦿ ცინცხალი ანეკდოტები



ორი ტიპი კოკისპირული ლოთობის წინ ერთმანეთს შეხვდა.

— როგორ გრძნობ თავს?

— გმადლობ, უკეთ, ვიდრე ხვალ ვიგრძნობ.

* * *

— რატომ არის თქვენი ვერძი ურქებო?

— იმიტომ, რომ ჩვენი ვაცი პატიოსანია.

* * *

— რატომ არ განაცხადე პოლიციაში, რომ მანქანა მოგპარეს?

— ველოდები, სანამ ქურდები მანქანას შეღებავენ.

* * *

მოშეს 6 ცალი ვაშლი აქვს, ივანს — არც ერთი. მოშემ მას ერთი ვაშლი მისცა. როდის უნდა დაუბრუნოს ივანმა მოშეს ორი ცალი ვაშლი?

* * *

ნურავის ნუ გაუხეთქავთ გულს, იგი ყველას მხოლოდ ერთი აქვს.

დაუმტვრიეთ ძვლები — ისინი 206 ცალი აქვს ყველას.

# ვერაგი მეტაბოლიზმი

**დიდი ხანია, ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ ქალები მამაკაცებზე მეტს არა იმიტომ ცოცხლობენ, რომ ნაკლებს სვამენ და მუშაობენ, არამედ იმის გამო, რომ გოგონების ორგანიზმში დედისგან მიღებული მუტაციები იბლოკება, ბიჭებისაში კი პირიქით, ვითარდება.**

— დიდი ხანია, დამტკიცებულია, რომ მუტაციები მიმდინარეობს როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ორგანიზმში. თანაც სახეცვლილ უჯრედთა ოდენობა მათ დაახლოებით ერთნაირი აქვთ, — ამბობს რუსეთის ეროვნული კვლევითი სამედიცინო ინსტიტუტის გერონტოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი ვლადიმერ შაბალინი. — მაგრამ, საქმე ისაა, რომ ქალები მეტხანს იმიტომ ცოცხლობენ, რომ მათ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა (მეტაბოლიზმი), საშუალოდ, 20 პროცენტით უფრო ნელა მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის რესურსების უფრო ეკონომიურად ხარჯვის საშუალებას აძლევთ.

# სექსუალური ლტოლვა და... კვება

**ამერიკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის მიზანი ქალური მიმზიდველობის, ანუ სექსუალობის კვების რაციონთან კავშირის დადგენა იყო.**



ექსპერიმენტატორებმა მოხალისე ქალბატონთა ერთი ჯგუფი, რომ იტყვიან, „მშიერ ულუფაზე“ ამყოფეს, მეორეს წევრები კი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იკვებებოდნენ. აღმოჩნდა, რომ დანაყრების გრძნობა ქალებს სექსისადმი ლტოლვას უქვეითებდა, მშივრები კი გაცილებით „მონდომებულნი“ იყვნენ.

# რა ტკაცუნობს?



**ალბერტას (კანადა) უნივერსიტეტის მკვლევარებმა გაარკვიეს, თუ რატომაა, რომ გაჭიმვის დროს თითების სახსრები ტკაცუნებენ.**

უწინ ეგონათ, რომ ტკაცუნის დროს სახსრის სითხეში ორთქლის მიკრობუშტულები წარმოიქმნება. შემდეგ გაჩნდა საპირისპირო აზრი — რომ ბუშტები კი არ წარმოიქმნებიან, არამედ სკდებიან.

მკვლევარებმა მოხალისე მიიწვიეს, რომელიც თითების სახსრებს ჩინებულად ატკაცუნებდა. მის თითოეულ თითზე მილაკი მიამაგრეს, რომელიც ტკაცუნის წარმოშობის მომენტში მას ქაჩავდა. მთელი ამ ხნის მანძილზე თითი მაგნიტური ინდუქციის კოჭის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც MPT-მოწყობილობაში შედის. ეს მოწყობილობა წამში რამდენიმე სურათს იღებდა, რის შედეგად ტკაცუნის დროს სახსარში მიმდინარე პროცესი შენელებულად გადაიღეს.

აღმოჩნდა, რომ მოჭიმვის დროს, თითის სასახსრე ჩანთებში ტრიბონუკლუაცია — ორი მყარი ზედაპირის მკვეთრი მოძრაობის შედეგად სასახსრე სითხეში გაზის ბუშტულაკების წარმოშობა — მიმდინარეობს.

ჯერჯერობით უცნობია, საზიანოა თუ არა ეს ტკაცუნი ჯანმრთელობისთვის და იწვევენ თუ არა ისინი ართრიტს, თუმცა კვლევები გრძელდება.

# უკანონო ოქროს ნაკეთობები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ერთად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლისგან მალულად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების უკანონოდ გადატანის ფაქტზე, აზერბაიჯანის მოქალაქე რამინ ნაბიევი დააკავა.**

**ბრალდებული, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, საზღვრის კვეთის დროს ცდილობდა უკანონოდ გადაეტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კონტრაბანდული ოქროს ზოდები და უმაღლესი სინჯის ოქროსაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 55 000 ლარს. საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული საზღვრის კვეთის დროს დააკავა.**

# პოლიციამ გოგირდის აბანოების თანამშრომლები დააკავა

**აბანოთუბანში მიმდინარე აქციაზე სამართალდამცველებმა რამდენიმე პირი დააკავეს. გოგირდის აბანოების თანამშრომლებმა აბანოთუბანში ცენტრალური გამზირი გადაკეტეს. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მათი გზიდან გადაყვანას შეეცადნენ, თუმცა, აქციის მონაწილეებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს.**

**გოგირდის აბანოების თანამშრომლები აბანოებისთვის გაზრდილ ტარიფს აპროტესტებენ და ადგილზე თბილისის მერის დავით ნარმანის მისვლას ითხოვენ. ცნობისთვის, გოგირდის აბანოები პროტესტის ნიშნად სამი დღეა დახურულია!**

# ზუგდიდში მამაკაცი ჩაცხრილეს

**სოფელ კორცხელში ამ დრომდე დაუდგენელმა პირებმა ზურაბ ხასია ჩაცხრილეს, მას მრავლობითი ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული. შემთხვევა გუშინ გამთენიისას მოხდა. დაჭრილი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოშია მოთავსებული, მისი მდგომარეობა მძიმეა. ზურაბ ხასია კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის მესამე სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან ორი თვის წინ გაათავისუფლეს, თუმცა მან თანამდებობაზე აღდგენის მიზნით საქალაქო სასამართლოს მიმართა. დაზარალებულის ოჯახი თვლის, რომ ხასია პოლიტიკური აქტივობის გამო მოხსნეს თანამდებობიდან და შესაძლოა, დანაშაულიც პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირდებოდეს. ზურაბ ხასია შუალედურ არჩევნებზე მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერდა. ფაქტს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მუხლით დაიწყო გამოძიება.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.224; ევრო - 2.5111;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2651;
100 რუბლი - 3.4750; თურქული ლირა - 0.742;
აზერბაიჯანული მანათი - 1.427;
1000 სომხური დრამი - 5.564

**ამინდი 24 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +28 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე +20, | დღე +30 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE